

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 17

თბილისი

25-26.08.2011

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები:

კახი ყურაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, შპს - თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;

გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგანი მედიცინის დეპარტამენტის სრული პროფესორი, სამედიცინო განათლების, კვლევების და სტრატეგიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი, საბჭოს მდივანი;

ლალი ღოდელიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამშენებლო ფაკულტეტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი;

ანა კლდიაშვილი - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიის, რესტავრაციისა და თეორიის ფაკულტეტის სრული პროფესორი;

რუსუდან ტყემელაშვილი - საქართველოს განმანათლებელთა ასოციაციის პრეზიდენტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ნანა ჭილაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;

რევაზ ხოფერია - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსის მოადგილე;

მარინე ჟვანია - საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსი;

სალომე ფრუიძე - ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;

ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ბექა მამაშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

თამარ შუდრა - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ნინო ბეგიაშვილი - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

ნინო ფურცხვანიძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი; ანა ბუზუკური - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სპეციალისტი;

თამარ ურუშაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სპეციალისტი;

თეა შაყულაშვილი - სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

ავტორიზაციის მდივებელი დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. შპს - სასწავლო უნივერსიტეტი „ინტერფარმ“-ის დირექტორი - ჯუმბერ სილაგაძე და პრორექტორი - მზია კვანჭილაშვილი;

2. შპს - თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტი „ჰიპოკრატეს“ რექტორი - დავით კიტეიშვილი;

3. შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი - მამუკა თავხელიძე;

4. შპს - თელავის ბიზნესისა და მართვის კოლეჯ „ჯორჯიას“ რექტორი - გიორგი ჯანაშია, რექტორის თანაშემწე - ლელა ახალაია, ხარისხის სამსახურის უფროსი - ლიანა ჯანაშია;

5. შპს - აგრობიზნესისა და აგროეკოლოგიის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორი - როზა ლორთქიფანიძე, ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი - ემზარ კილასონია;

6. შპს - სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებული საერო სკოლა „ბინულის“ გენერალური დირექტორი - ნინო ჯოგლიძე;

8. შპს - „ერუდიტის“ დირექტორი - ქეთევან ჯანუაშვილი, ხარისხის მართვის მენეჯერი - ირმა ლორია;

9. სპს - ცოდნა - ნათელა მურადაშვილის დირექტორი - ნათელა მურადაშვილი;

10. შპს - ოაზისის ნ. დოლიძე;

11. შპს - შიდა ქართლის საერო კოლეჯის დამფუძნებელი - მაია თეთრუაშვილი;

12. სპს - „თავაძე და კომპანია“ განათლების სამინისტრო სკოლა „ანაბასისის“ დირექტორი - ქეთევან ელიბერიძე;

13. შპს - „ლაზარეს“ დირექტორი ჯულიეტა ლაზარიაშვილი;

14. შპს - ქ. თბილისის საშუალო სკოლა „ლამპარი“ - დ. ქადაგიძე;

15. შპს - არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა „ოცნების“ დირექტორი - ი. ცაავა.

ავტორიზაციის ექსპერტები:

დავით ჭეიშვილი;

ქეთევან ინანაშვილი;

თამარ ვეფხვაძე;

მაია ხურცილავა;

მიხეილ ტეფნაძე;

მარიამ ხუციშვილი;

ნინო სიხარულიძე;

ქეთევან ბოტკოველი;

რევაზ ნინუა.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 19³⁰ სთ-ზე და შეამოწმა კვორუმის არსებობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს - სასწავლო უნივერსიტეტ „ინტერფარმ“-ისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა;

2. შპს - თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტ „ჰიპოკრატეს“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

3. შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

4. შპს - თელავის ბიზნესისა და მართვის კოლეჯ „ჯორჯიას“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

5. შპს - აგრობიზნესისა და აგროეკოლოგიის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს - „არსის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. შპს - სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებული საერო სკოლა „ბინულის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. შპს - „ერუდიტის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. სპს - ცოდნა - ნათელა მურადაშვილის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. შპს - ოაზისის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
11. შპს - შიდა ქართლის საერო კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
12. სპს - „თავაძე და კომპანია“ განათლების სამინისტრო სკოლა „ანაბასისის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
13. შპს - „ლაზარეს“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
14. შპს - ქ. თბილისის საშუალო სკოლა „ლამპარის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
15. შპს - არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა „ოცნების“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და სხვა დაინტერესებულ პირებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

შპს - „არსმა“ წარმოადგინა შუამდგომლობა, რომელშიც აღნიშნულია, რომ დაწესებულება აცნობიერებს ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ დადგენილ ხარვეზებს. შესაბამისად, მისი სურვილია გაითხოვოს საავტორიზაციო განაცხადი, გამოსწოროს არსებული ხარვეზები და არაუგვიანეს 3 თვის ვადაში ხელახლა მიმართოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ავტორიზაციის მინიჭების მოთხოვნით.

ავტორიზაციის საბჭომ განიხილა დაწესებულების შუამდგომლობა და კენჭისყრაზე დააყენა შუამდგომლობის დაკმაყოფილების მოთხოვნა:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

შეწყდეს შპს - „არსის“ საავტორიზაციო განხილვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება.

შპს - „ინტერფარმი +“-მა საბჭოს მიმართა შუამდგომლობით და მოითხოვა საკითხის განხილვის გადავადება 3 კვირის ვადით. მათი განცხადებით, დაწესებულების რექტორი ვერ გამოცხადდა საბჭოს სხდომაზე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, შესაბამისად ის საქმის კურსში არაა რამდენად სწრაფად შეიძლება იმ ხარვეზების გამოსწორება, რომლებიც ექსპერტებმა დაუდგინეს ავტორიზაციის მაძიებელს.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების დირექტორსა და პრორექტორს განუმარტა, რომ საბჭო დაიწყებდა საკითხის განხილვას. იმ შემთხვევაში, თუ საბჭო დარწმუნდებოდა, რომ შესაძლებელი იყო არსებული ხარვეზების გამოსწორება, საბჭო იმსჯელებდა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით აღნიშნა, რომ საავტორიზაციო განაცხადის განხილვის დროს, როგორც წესი, დაინტერესებული მხარისთვის დამატებითი ვადის განსაზღვრა ხარვეზების

გამოსწორების მიზნით არ ხდება, ხოლო გადაწყვეტილება მიიღება ავტორიზაციის ექსპერტების ვიზიტის ეტაპისათვის არსებული ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე. ავტორიზაციის გაუქმების წარმოების დროს, რომელიც იწყება ცენტრის ინიციატივით, შესაძლებელია ხარვეზის გამოსწორების ვადის განსაზღვრა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აშკარაა, რომ ამას შედეგი არ მოჰყვება.

ავტორიზაციის მაძიებლის წარმომადგენელი დაეთანხმა შემოთავაზებულ წინადადებას.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი 14 საკითხით, შპს - არსის საკითხის გამოკლებით.

1. შპს - სასწავლო უნივერსიტეტი „ინტერფარმ“-ისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - სასწავლო უნივერსიტეტი „ინტერფარმ“-ის თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ბექა ძამაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემულ შენიშვნებზე:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 დაწესებულებაში არ არსებობს თვითშეფასების ანგარიშში დაფიქსირებული ფარმაცევტული ანალიზისა და წამალთა ხარისხის კონტროლის სამაგისტრო პროგრამა. ექსპერტთა ჯგუფს წარედგინა მხოლოდ აღნიშნული პროგრამის სასწავლო გეგმა;

1.2 სილაბუსები არ ახლავს შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებს:

1.2.1 საერთაშორისო და სამკურნალო ტურიზმის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა;

1.2.2 საკურორტო, სასტუმრო და რესტორნების ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა.

შესაბამისად, დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-9 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პროგრამას უნდა ჰქონდეს შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები).

1.3 ფარმაცევტული კოსმეტოლოგია - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა:

1.3.1 პროგრამაში გათვალისწინებული არ არის მეთოდოლოგია;

1.3.2 მისანიჭებელი კვალიფიკაცია არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს“ მოთხოვნებს. კერძოდ, პროგრამის მიხედვით, მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის: „ფარმაცევტული კოსმეტოლოგიის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი“. აღნიშნულ კვალიფიკაციას ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო არ ითვალისწინებს;

1.3.3 სწავლის შედეგებში გათვალისწინებული არ არის ღირებულებების კომპონენტი, აგრეთვე, კომუნიკაციის უნარი არ ითვალისწინებს კომუნიკაციას უცხოურ ენაზე. შესაბამისად, დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის N120/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს“ მე-3 მუხლის, მე-7 პუნქტის „დ“ და „ვ“ ქვეპუნქტების მოთხოვნები;

1.3.4 პროგრამაზე ისწავლება ორსემესტრიანი საგნები „ბიზნეს ინგლისური – პროფესიული ლექსიკა“ და „ბუნებრივი კოსმეტოლოგიური ნედლეული“, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ მე-3 მუხლის პირველ პუნქტს, რომლის მიხედვითაც, სასწავლო კურსი არის ერთსემესტრიანი;

1.3.5 სილაბუსებში გათვალისწინებული არ არის სწავლებისა და სწავლის მეთოდები, რაც ეწინააღმდეგება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „3²³“ ქვეპუნქტის მოთხოვნას;

1.3.6 პროგრამაში საგნების წინაპირობები ისეა განაწილებული, რომ პროგრამა ვერ განხორციელდება. მაგ.: მეორე სემესტრში ისწავლება საგანი „დერმატოლოგიის საფუძვლები“, რომლის წინაპირობაა „კანის ანატომია, ფიზიოლოგია და ჰისტომორფოლოგიური ცვლილებები“. აღნიშნული წინაპირობა საერთოდ არ ისწავლება პროგრამის ფარგლებში. აგრეთვე, მესამე სემესტრში ისწავლება საგანი „ფარმაკოკოსმეტოლოგიური ორგანიზაციის აღრიცხვა, ანგარიშგება, აუდიტი“, რომლის წინაპირობაა „ფარმაკოკოსმეტოლოგიური სამსახურის ეკონომიკა“ ისწავლება იმავე მესამე სემესტრში.

1.4 ფარმაცევტული ბიზნესის ორგანიზაციისა და ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა:

1.4.1 პროგრამაში გათვალისწინებული არ არის მეთოდოლოგია;

1.4.2 მისანიჭებელი კვალიფიკაციები არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/5 ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს“ მოთხოვნებს. კერძოდ, პროგრამის მიხედვით, მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის „ფარმაცევტული ბიზნესის ორგანიზაციისა და ეკონომიკის მაგისტრი“. აღნიშნულ კვალიფიკაციას ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო არ ითვალისწინებს;

1.4.3 სწავლის შედეგებში გათვალისწინებული არ არის ღირებულებების კომპონენტი, აგრეთვე კომუნიკაციის უნარი არ ითვალისწინებს კომუნიკაციას უცხო ენაზე. შესაბამისად, დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/5 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს“ მე-3 მუხლის, მე-7 პუნქტის „დ“ და „ვ“ ქვეპუნქტების მოთხოვნები;

პროგრამის ფარგლებში არ ისწავლება უცხოური ენა, შესაბამისად, შეუძლებელია უცხოურ ენაზე კომუნიკაციის უნარის გამომუშავება.

1.4.4 პროგრამაზე ისწავლება ორსემესტრიანი საგნები „ფარმაცევტული ორგანიზაციის მენეჯმენტი“, „ფარმაცევტული ორგანიზაციის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები“, „ფარმაცევტული ორგანიზაციის მარკეტინგი“, „ფარმაცევტული საქონელმცოდნეობა“, „ფარმაცევტული სამსახურის ეკონომიკა“, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ მე-3 მუხლის პირველ პუნქტს, რომლის მიხედვითაც, სასწავლო კურსი არის ერთსემესტრიანი;

1.4.5 სილაბუსებში გათვალისწინებული არ არის სწავლებისა და სწავლის მეთოდები, რაც ეწინააღმდეგება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „3²³“ ქვეპუნქტის მოთხოვნას;

1.4.6 პროგრამებში საგნების წინაპირობები ისეა განაწილებული, რომ პროგრამა ვერ განხორციელდება. მაგ.: მეოთხე სემესტრში ისწავლება საგანი „ფარმაცევტული ორგანიზაციის აღრიცხვა და ანგარიშგება“, რომლის წინაპირობაა „ფარმაცევტული სამსახურის ეკონომიკა“, რომელიც ისწავლება იმავე მეოთხე სემესტრში;

1.5 ფარმაკოკოსმეტოლოგიისა და ესთეტიკური მედიცინის სამაგისტრო პროგრამა:

1.5.1 პროგრამაში გათვალისწინებული არ არის მეთოდოლოგია;

1.5.2 მისანიჭებელი კვალიფიკაციები არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს“ მოთხოვნებს. კერძოდ, პროგრამის მიხედვით, მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის: „ფარმაკოკოსმეტოლოგიისა და ესთეტიკური მედიცინის მაგისტრი“. აღნიშნულ კვალიფიკაციას ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო არ ითვალისწინებს;

1.5.3 სწავლის შედეგები გაწერილი არ არის ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მიხედვით 6 კომპონენტის გათვალისწინებით, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს“ მე-3 მუხლის პირველ პუნქტს. შესაბამისად, დარღვეულია ავტორიზაციის დებულების მე-9 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, სწავლის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს;

1.5.4 სილაბუსებში გათვალისწინებული არ არის სწავლებისა და სწავლის მეთოდები, რაც ეწინააღმდეგება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ჰ“²³ ქვეპუნქტის მოთხოვნას;

1.5.5 პროგრამა აში საგნების წინაპირობები ისეა განაწილებული, რომ პროგრამა ვერ განხორციელდება. მაგ.: „პროფილაქტიკური კოსმეტოლოგია“ ისწავლება პირველ სემესტრში და მისი წინაპირობაა ფიზიოლოგია, მიკრობიოლოგია, ქიმია, ჰიგიენა. შეუძლებელია პირველი სემესტრის საგანს ჰქონდეს წინაპირობა. აგრეთვე, მეორე სემესტრში ისწავლება საგანი „კანის დაავადებები კოსმეტოლოგიურ პრაქტიკაში“, რომლის ერთ-ერთი წინაპირობა „დერმატოლოგია“ საერთოდ არ ისწავლება პროგრამის ფარგლებში;

1.5.6 პროგრამის ფარგლებში არ ისწავლება უცხოური ენა, შესაბამისად შეუძლებელია უცხოურ ენაზე კომუნიკაციის უნარის გამომუშავება.

ზეპირ მოსმენაზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სამაგისტრო პროგრამებთან დაკავშირებით, ხარვეზების არსებობა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ 2008 – 2009 წელს დაწესებულებას მაგისტრატურაში მიღება არ ჰქონია და არც შემდეგ წელს აპირებს მაგისტრატურის განხორციელებას. ეს პროგრამები თვითშეფასების ანგარიშში დაფიქსირდა, რადგან ისინი დამტკიცებული იყო და თვითშეფასებაში მათი ასახვა დაწესებულების წარმომადგენლებმა აუცილებლად მიიჩნიეს.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს განუმარტა, რომ დაწესებულება ვალდებულია ნებისმიერი დამტკიცებული პროგრამა მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოიყვანოს მიუხედავად იმისა, სტუდენტები ირიცხებიან თუ არა შესაბამის პროგრამაზე. თვითშეფასების ანგარიშში პროგრამის დაფიქსირება დაწესებულების მხრიდან ნიშნავს მზაობას მოცემული პროგრამების განხორციელებაზე და ყველა პროგრამა უნდა აკმაყოფილებდეს სტანდარტებს.

1.6 საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამა:

1.6.1 პროგრამის სილაბუსებში არ არის მოცემული სწავლებისა და სწავლის მეთოდები, რასაც ითვალისწინებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ჰ“²³ პუნქტი, მაგალითისათვის, „ადამიანის ნორმალური ანატომია“, „ადამიანის ნორმალური ფიზიოლოგია“; 1.6.2 საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა მოიცავს 2-სემესტრიან სასწავლო კურსებს და, შესაბამისად, წარმოდგენილია ერთი 2-სემესტრიანი საგნის სილაბუსი, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ მე-3 მუხლის პირველ პუნქტს, რომლის მიხედვითაც, სასწავლო კურსი არის ერთსემესტრიანი. მაგალითისათვის, „ადამიანის ნორმალური ანატომია“, „ადამიანის ნორმალური ფიზიოლოგია“, „ინგლისური/პროფესიული ლექსიკა“, „მეანობა“;

1.6.3 „ზოგადი ჰიგიენის“ კურსის შესწავლის წინაპირობებში მითითებულია „მიკრობიოლოგია, ბიოლოგია“, აღსანიშნავია, რომ კურსი სასწავლო გეგმის მიხედვით იკითხება I სემესტრში და, შესაბამისად, წინაპირობებში აღნიშნული სასწავლო კურსების გავლა სტუდენტისათვის შეუძლებელია;

1.6.4 სასწავლო კურსების - „მეანობა“ და „გინეკოლოგია“ - მიზნები და სწავლის შედეგები იდენტურია;

1.6.5 დერმატოვენეროლოგიის“ სასწავლო კურსის წინაპირობებში მოცემულია „კანის ანატომია, ფიზიოლოგია და ჰისტომორფოლოგიური ცვლილებები“. აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო პროგრამა არ მოიცავს ასეთი დასახელების სასწავლო კურსს;

1.6.6 პროგრამა მოიცავს 2 დამატებით სპეციალობას (სტუდენტის არჩევით) - „ფიზიოთერაპია“ და „ნუტრიციოლოგია“. აღსანიშნავია, რომ არ არის წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსები, მაგალითისთვის: „ბალნეოლოგიის საფუძვლები“, „ფიზიოთერაპიული სამსახურის მენეჯმენტი“, „ფიზიოთერაპიის სამართლებრივი საფუძვლები“, „ბიოლოგიურად აქტიური დანამატები“, „ჯანმრთელი ადამიანის კვება“.

ზეპირ მოსმენაზე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული საბაკალავრო პროგრამა ახალი პროგრამაა. მასზე არც ერთი განაცხადი არ ყოფილა და შესაბამისად არ ხორციელდება.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს განუმარტა, რომ პროგრამაზე სტუდენტების არ არსებობა არ ამართლებს იმ გარემოებას, რომ არსებობს ორსემესტრიანი საგნები, უსილაბუსო დისციპლინები, იდენტური მიზნებისა და სწავლის შედეგების მქონე კურსები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამა გასწორდა, თუმცა სილაბუსები არ დამუშავებულა, რადგან პროგრამაზე არ ყოფილა სტუდენტების მოთხოვნა. სტუდენტების ჩარიცხვის შემთხვევაში დაწესებულება უზრუნველყოფს მე-3, მე-4 სასწავლო წლის საგნების სილაბუსების გაკეთებასაც.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს განუმარტა, რომ მოქმედი კანონმდებლობით სილაბუსი პროგრამის განუყოფელი ნაწილია და არ შეიძლება სილაბუსების აგრეშე პროგრამის დამტკიცება ან მისი გასწორება.

1.7. ფარმაციის საბაკალავრო პროგრამა:

1.7.1 საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სასწავლო კურსს „ლათინური ენა და ფარმაცევტული ტერმინოლოგია“, რომელიც არის 2-სემესტრიანი, წარმოდგენილია 1 სილაბუსი, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული „უმალღესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ მე-3 მუხლის პირველ პუნქტს, რომლის მიხედვითაც, სასწავლო კურსი არის ერთსემესტრიანი.

ასეთივე შენიშვნა ფიქსირდება შემდეგ სილაბუსებში: „ადამიანის ნორმალური ფიზიოლოგია“, „ორგანული ქიმია“, „ფიზიკური და კოლოიდური ქიმია“, ბიოტანია“, „ფარმაცოლოგია“, „ფარმაცევტული ქიმია“;

1.7.2 სასწავლო გეგმის II სემესტრში მოცემულია სასწავლო კურსი „მიკრობიოლოგია/ვირუსოლოგია“, III სემესტრში - „მიკრობიოლოგია“, თუმცა წარმოდგენილია ერთი სილაბუსი „მიკრობიოლოგიის“ დასახელებით“;

1.7.3 ორგანული ქიმიისა“ და „ფიზიკოლოიდური ქიმიის“ სილაბუსებში გაწერილია ლაბორატორიული სამუშაოები, ცდების ჩატარება, აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში არ არსებობს შესაბამისი სწავლების ბაზა;

1.7.4 არ არის წარმოდგენილი III სემესტრის სასწავლო კურსის „გადაუდებელი სამედიცინო დახმარების“ სილაბუსი;

1.7.5 ფარმაცევტული ქიმია სასწავლო გეგმის მიხედვით ისწავლება V, VI, VII სემესტრებში, წარმოდგენილი სილაბუსი ითვალისწინებს III, IV, V სემესტრებს;

1.7.6 ფარმაცოგნოზიის “სილაბუსის მიხედვით , დაშვების წინაპირობაა „ეკოლოგიის საკითხების“ ცოდნა, აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო პროგრამა არ მოიცავს ასეთ სასწავლო კურსს;

1.7.7 „სოციალური ფარმაციის“ შესწავლის წინაპირობაა სტატისტიკის ცოდნა, სასწავლო გეგმა არ მოიცავს ასეთ კურსს;

1.7.8 პროგრამა მოიცავს დამატებით სპეციალობას (სტუდენტის არჩევით) - „საერთაშორისო და სამკურნალო ტურიზმის ადმინისტრირება“. აღსანიშნავია, რომ არ არის წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსები, მაგალითისთვის: „საერთაშორისო და სამკურნალო ტურიზმის ორგანიზაცია და დაგეგმვა“, „სასტუმრო საქმის მენეჯმენტი“, „საერთაშორისო და სამკურნალო ტურიზმის ეკონომიკა“, „საერთაშორისო და სამკურნალო ტურიზმის სტანდარტიზაცია და სამართლებრივი რეგულირება“.

საბჭოს თავმჯდომარემ ზეპირ მოსმენაზე გამოარკვია, რომ ფარმაციის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტები ირიცხებოდნენ და პროგრამა ხორციელდებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გაუგებრობა გამოიწვია პარალელურად ფარმაციის ორი საბაკალავრო პროგრამის არსებობამ. მისი განმარტებით, პირველი და მეორე კურსის სტუდენტები ახალი პროგრამით სწავლობენ, ხოლო მესამე და მეოთხე კურსის სტუდენტები - ძველი პროგრამით.

საბჭოს თავმჯდომარემ ცენტრის წარმომადგენლებს ჰკითხა რამდენად სწორად მიაჩნდათ ერთი და იგივე სახელწოდების ორი პროგრამის არსებობა დაწესებულებაში. რევაზ ხოფერიამ განმარტებით, მნიშვნელოვანია რა კვალიფიკაციის მინიჭება ხდება პროგრამის დასრულების შემდეგ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფისთვისაც მიუღებელი იყო ერთი და იგივე სახელწოდების ორი პროგრამის არსებობა, თუმცა რეალურად შემოწმების პროცესი გაართულა იმ გარემოებამ, რომ დაწესებულებაში არ არსებობდა ფარმაციის სრულყოფილი ძველი და ახალი პროგრამა შესაბამისი სილაბუსებით. წარმოდგენილი იყო ორი პროგრამა და სილაბუსების რაღაც ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტმა, ქეთევან ინანაშვილმა, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს წარედგინა პროგრამების ნაკრები. თუმცა რეალურად ექსპერტთა ჯგუფის შენიშვნები ორსემესტრიანი საგნების არსებობისა და წინაპირობების არასწორად განაწილების ნაწილში შეეხებოდა ახალ პროგრამას.

წინაპირობებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ წინაპირობა გულისხმობდა არა სასწავლო კურსის გავლას, არამედ შესაბამისი ცოდნის ქონას კონკრეტულ საკითხზე.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებისგან განმარტება ითხოვა როგორ ახდენდნენ იმის შეფასებას სტუდენტი ფლობდა თუ არა წინაპირობაში მითითებულ ცოდნას, რაზეც პასუხი ვერ მიიღო.

ორსემესტრიან საგნებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლებმა აღიარეს ხარვეზის არსებობა და განმარტეს, რომ სილაბუსები დამუშავების პროცესშია და ხარვეზი გასწორდებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს განუმარტა, რომ გასულ სასწავლო წელს სწავლება უკვე განხორციელდა ხარვეზიანი პროგრამებითა და სილაბუსებით და შეუძლებელი იყო ამ ხარვეზის გამოსწორება, რადგან დროს უკან ვერ დააბრუნდებდნენ.

1.8 სამაგისტრო პროგრამები ისე არის აგებული, რომ სტუდენტი 120 კრედიტს დააგროვებს იმ შემთხვევაში, თუ აირჩევს ყველა საგანს. შესაბამისად, ყველა საგანი სავალდებულოა და სტუდენტს არ აქვს არჩევანის შესაძლებლობა.

1.9. დაწესებულებაში სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ერთ –ერთი საფუძველია სწავლის საფასურის გადაუხდელობა მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. აღნიშნული ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ მე-3 მუხლის მე-4 და მე-5 მუხლების მოთხოვნებს, რომელთა მიხედვითაც, ფინანსური დავალიანება არის სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი, ხოლო სტატუსის შეწყვეტა შეიძლება უკავშირდებოდეს დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამით/პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობას ან სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელებას.

ზეპირ მოსმენაზე დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სტუდენტს საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში უჩერდება სტატუსი ხოლო მთელი წლის განმავლობაში გადაუხდელობის შემთხვევაში უწყდება. თუმცა, რეალურად აღნიშნული საფუძველით სტატუსის შეწყვეტა არ განხორციელებულა და ერთგვარად სტუდენტების შეშინების მიზნით არსებობდა მოცემული რეგულირება.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ მოქმედი კანონმდებლობით სტუდენტი უფლებამოსილია არ გადაიხადოს საფასური და 5 წლის განმავლობაში ჰქონდეს სტატუსი შეჩერებული.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1 დაწესებულებაში არსებობს საქმისწარმოების წესი და მიმდინარეობს შემდეგი აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა:

2.1.1 ბრძანებები - ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალში;

2.1.2 შემოსული კორესპოდენციები - შემოსული კორესპოდენციის აღრიცხვის ჟურნალში;

2.1.3 გასული კორესპოდენციები - გასული კორესპოდენციის აღრიცხვის ჟურნალში.

სასწავლო უნივერსიტეტში არის აკინძული (ბაინდერში შეკრული) დამფუძნებლების (პარტნიორების) კრების (სხდომის) ოქმები, თუმცა არ ხდება მათი სანდო აღრიცხვიანობა. მაგალითად, დაწესებულების აკადემიური საბჭოს 2010 წლის 27 აპრილის სხდომაზე დამტკიცდა:

ა) სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების და შეწყვეტის, მობილობის და განათლების აღიარების წესი;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და დამტკიცების წესი;

გ) სტუდენტის მიერ დისციპლინის არჩევის წესი;

დ) პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი.

ოქმს თან ახლავს დანართი 6 გვერდი, სადაც მოცემული საერთოდ არ არის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და დამტკიცების წესი, ხოლო დანარჩენი წესების მოცემული ფორმით 2010 წლის 27 აპრილს დამტკიცება შეუძლებელი იყო შემდეგი გარემოებების გამო:

ა) დანართში გაწერილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წინაპირობები, რომელიც „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების სახით შევიდა 2010 წლის 21 ივლისს (დაწესებულებაში დანართის დამტკიცებიდან სამი თვის შემდეგ) და ამოქმედდა 1 სექტემბერს;

ბ) დანართის მესამე გვერდზე გაწერილია სტუდენტის მობილობის წესი, რომლის მე-4 პუნქტის მიხედვითაც „მობილობა ხორციელდება ყოველი სემესტრის დაწყების წინ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილ ვადებში“. აღნიშნული

ჩანაწერი შეუძლებელია არსებობდეს 2010 წლის 27 აპრილს დამტკიცებულ დოკუმენტში, რადგან სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი შეიქმნა 2010 წლის სექტემბერში.

დაწესებულებაში არ მიმდინარეობს ბრძანებების სანდო აღრიცხვიანობა. მაგ.: 2010 წელს ბრძანება №27 დამტკიცებულია 20 ივლისს, ხოლო ბრძანება №28 - 16 ივლისს.

არ მიმდინარეობს აკადემიური საბჭოს ოქმების სანდო აღრიცხვიანობა. მაგ.: აკადემიური საბჭოს 2010 წლის №4 ოქმი ხელმოწერილია 12 აგვისტოს, ხოლო ოქმები №5 და №6 შესაბამისად - 25 და 28 ივნისს.

ექსპერტთა ვიზიტის დროს არ არსებობდა აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი. ვიზიტის ბოლო დღეს წარმოდგენილ იქნა დაწესებულების დამფუძნებელთა კრების 2005 წლის 17 მაისის ოქმი №1, რომლითაც დამტკიცებულია აღნიშნული წესი, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტის ავთენტურობა საეჭვოა შემდეგი გარემოებების გამო:

ა) კონკურსის ჩატარების თარიღისა და პირობების შესახებ დაწესებულებაში დამტკიცებული წესი- სიტყვა-სიტყვით ემთხვევა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის 2009 წლის 10 აგვისტოდან 2011 წლის 17 ივნისამდე არსებულ რედაქციას. შესაბამისად, შეუძლებელია დაწესებულებას 2005 წლის 17 მაისს დაემტკიცებინა წესი ასეთი რეგულირებით. მით უმეტეს კანონის იმ დროს მოქმედი რედაქციით კონკურსის ჩატარების სრულიად განსხვავებული წესი არსებობდა;

ბ) აკადემიური პერსონალის თანამდებობაზე არჩევის პირობების შესახებ დაწესებულებაში დამტკიცებული წესი სიტყვა-სიტყვით ემთხვევა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის 2006 წლის 17 მარტიდან 2011 წლის -17 ივნისამდე არსებულ რედაქციას. შესაბამისად, შეუძლებელია დაწესებულებას 2005 წლის 17 მაისს დაემტკიცებინა წესი ასეთი რეგულირებით;

გ) 2005 წლის 17 მაისს დამტკიცებულ წესში გამოყენებულია ტერმინი „სრული პროფესორი“, რომელიც კანონმდებლობაში რეალურად 2006 წლის 17 მარტიდან არსებობს. შესაბამისად, შეუძლებელია დაწესებულებას 2005 წლის 17 მაისს დამტკიცებულ წესში ასეთი ტერმინოლოგია გამოეყენებინა.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ძველი თარიღით გამოცემულ აქტებში ახალი რეგულაციების არსებობა განპირობებულია აქტებში ცვლილებების შეტანის თავისებურებით. მათი განმარტებით, დაწესებულებაში აქტში ცვლილების შეტანის შემთხვევაში, ხდება დანართების ჩასწორება.

სხვა შენიშვნებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით დაშვებულია მხოლოდ ტექნიკური ხასიათის შეცდომა.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, ტექნიკური შეცდომა შესაძლებელია იყოს დაშვებული აქტებში. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში ხარვეზიანი არ იყო მხოლოდ რამდენიმე აქტი. შეუსაბამოები დგინდებოდა სხვადასხვა შინაარსის მქონე აქტებში, რაც საეჭვოს ხდის მხოლოდ ტექნიკური ხასიათის შეცდომის არსებობას.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით

3.1 აკადემიური საბჭოს 2009 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით გამოცხადდა კონკურსი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად და კონკურსის შედეგების შეჯამების ბოლო ვადად განისაზღვრა 20 სექტემბერი. კონკურსის შედეგები დამტკიცდა საკონკურსო კომისიის მიერ 2010

წლის 20 სექტემბერს, ხოლო შერჩეული პირები აკადემიურ თანამდებობებზე დაინიშნენ რექტორის 2010 წლის 21 სექტემბრის №38 ბრძანებით. შე საბამისად, კონკურსის შედეგები გაირკვა მისი გამოცხადებიდან წლისა და სამი თვის შემდეგ, რითაც დაირღვა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის იმ დროს მოქმედი რედაქცია, რომლის მიხედვითაც, კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საქართველოს კანონმდებლობითა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით დადგენილი წესით, საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე. საბუთების მიღება გრძელდება არანაკლებ 2 და არა უმეტეს 3 კვირისა. კონკურსი ტარდება საბუთების მიღების დასრულებიდან არანაკლებ 1 და არა უგვიანეს 2 თვის ვადაში.

ზეპირ მოსმენაზე დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაშვებული იყო ტექნიკური შეცდომა.

რექტორის 2010 წლის 21 სექტემბრის №38 ბრძანებით დანიშნული 15 პროფესორიდან 11 დანიშნულია იმ სპეციალობაზე, რომელიც კონკურსით გამოცხადებული არ ყოფილა. მაგ.: თამარ კაჭარავა – ფარმაკოგენეზია, სულიკო კუპრაძე – პათოფიზიოლოგია.

აღნიშნული 15 პროფესორიდან 11 კონკურსის გარეშე დროებით დაინიშნა თანამდებობაზე რექტორის 2010 წლის 15 აპრილის №11 ბრძანებით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში 15 აპრილის შემდეგ კონკურსი აღარ გამოცხადებულა და რეალურად რექტორის 2010 წლის 21 სექტემბრის ბრძანებით დანიშნული პროფესორები ჩაითვალნენ 2009 წლის 30 ივნისს გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე დანიშნულებად.

დაწესებულებაში არ მოიპოვება საკონკურსო განაცხადები და არც სხვა დოკუმენტაცია, რომლითაც დადგინდება კონკურსანტების მიერ განაცხადის შემოტანის თარიღი.

3.2 დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, შპს – „ინტერფარმი“-ში ირიცხება 31 აკადემიური პერსონალი, ამათგან 8 სრული პროფესორი, 20 ასოცირებული პროფესორი და 3 ასისტენტ-პროფესორი. პირადი საქმეების, აკადემიური საბჭოს ოქმების, საკონკურსო კომისიის ოქმებისა და რექტორის ბრძანებების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ დაწესებულების დოკუმენტაციიდან გამომდინარეც კი არსებობს განსხვავებული სურათი, კერძოდ დაწესებულებაში 8 სრული პროფესორი, 18 ასოცირებული პროფესორი და 5 ასისტენტ-პროფესორი ირიცხება.

3.3 დაწესებულებაში არ მოიპოვება ასისტენტ-პროფესორ ნესტან ნიკურაძის დანიშვნის ბრძანება და რაიმე სხვა დოკუმენტაცია. დარჩენილი 30 აკადემიური პერსონალიდან 11-თან გაფორმებული არ არის ხელშეკრულება, ერთი ხელშეკრულების ვადა გასულია 2008 წლის სექტემბერში, ერთ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული არ არის მოქმედების ვადა, 5 ხელშეკრულებას ვადა გასული აქვს 2010 წლის 30 დეკემბერს, 3 ხელშეკრულებას – 2010 წლის 14 ივნისს, 9 ხელშეკრულებას – 2011 წლის 10 ივნისს.

შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს არცერთი აკადემიური პერსონალი არ ერიცხება დაწესებულებას.

ზეპირ მოსმენაზე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აუდიტორულმა ფირმამ, რომელმაც შეამოწმა დაწესებულების საქმიანობა, ურჩია ხელშეკრულებების სემესტრული გაფორმება.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა არსებობდა, თუ არა რაიმე დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრული იყო აკადემიური პერსონალის თანამდებობაზე დანიშვნის ვადა.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ექსპერტთა ვიზიტის პირველი ორი დღის განმავლობაში ასეთი დოკუმენტი არ არსებობდა. თუმცა, მესამე დღეს წარმოდგენილ იქნა დამფუძნებელთა კრების მიერ დამტკიცებული წესი, რომლის სანდობაზეც ზემოთ იყოს საუბარი.

3.4 რექტორის ბრძანებებით აკადემიური პერსონალი დანიშნულია იმ სპეციალობებზე, რომელიც კონკურსით გამოცხადებული არ ყოფილა. მაგ.: რექტორის 2005 წლის 20 სექტემბრის №12

ბრძანებით მალხაზ მაყაშვილი დანიშნულია სამედიცინო ფსიქოლოგიის სპეციალობაზე, რომელიც კონკურსით გამოცხადებული არ ყოფილა.

რექტორის 2006 წლის 22 სექტემბრის №73 ბრძანებით დანიშნული 6 პროფესორიდან 3 დანიშნულია იმ სპეციალობაზე, რომელიც კონკურსით გამოცხადებული არ ყოფილა (მ. დავლიანიძე – ბოტანიკა, ლ. შვეარდნაძე – სამედიცინო ფიზიკა, ნ. ჟორჟოლაძე – ჯანდაცვის ორგანიზაცია).

რექტორის 2007 წლის 3 სექტემბრის №14 ბრძანებით დანიშნული 4 პროფესორიდან 3 დანიშნულია იმ სპეციალობაზე, რომელიც კონკურსით გამოცხადებული არ ყოფილა (ლ. კუნჭულაია – სამკურნალო საშუალებათა სტანდარტიზაცია, თ. საღარეიშვილი – ფარმაცევტული ქიმია, თ. საყვარელიძე – ანალიზის ინსტრუმენტული მეთოდები).

3.5 აკადემიური საბჭოს 2011 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილებით გამოცხადდა კონკურსი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად. აღნიშნული სხდომის ოქმში №4 განსაზღვრული არ არის საკონკურსო განაცხადების მიღების ვადები და პირობები. აგრეთვე, საკონკურსო განაცხადების მიღების ვადები და პირობები განსაზღვრული არ არის გაზეთ „ახალი განათლების“ 2011 წლის 9–15 ივნისის 22(536) გამოცემაში გამოქვეყნებული ინფორმაციით, რაც ეწინააღმდეგება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნას.

დოკუმენტაციის წარმოსადგენის ვადები და კონკურსის პირობები განთავსებულია მხოლოდ დაწესებულების ვებგვერდზე, რომლის მიხედვითაც საკონკურსო საბუთების მიღება უნდა მომხდარიყო 8 ივლისიდან 25 ივლისამდე და მსურველებს საკონკურსო კომისიისათვის უნდა წარედგინათ შემდეგი დოკუმენტები (ელექტრონული ვერსია): განცხადება; CV; 1 ფოტოსურათი; პირადობის მოწმობის ასლი; უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი; პედაგოგიური მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტები; სასწავლო კურსის სილაბუსი და კალენდარული გეგმა (15 სასწავლო კვირაზე სემესტრში). ერთთვიანი ვადა იყო დარღვეული.

დაწესებულების წარმომადგენლების მიერ ექსპერტთა ჯგუფისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან დგინდება, რომ აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შემოსულია 11 განცხადება. ამათგან 7 განცხადება მიღებულია 8 ივლისამდე. შესაბამისად დარღვეულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მეორე პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საბუთების მიღებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე.

ზეპირ მოსმენაზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ გაზეთში ვადები და პირობები იმიტომ არ გამოქვეყნდა, რომ დიდი ტექსტის გამოქვეყნება დიდ თანხებთან არის დაკავშირებული. სრული ინფორმაცია არსებობს ვებგვერდზე. რაც შეეხება საბუთების მიღების ვადის დარღვევას, საბუთები მიღებულ იქნა სულ რაღაც სამი დღით ადრე.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ მართალია სამი დღე შეიძლება იყოს უმნიშვნელო პერიოდი, მაგრამ ეს კანონის მოთხოვნაა და, შესაბამისად, უნდა შესრულდეს.

საბჭომ იმსჯელა ადამიანური რესურსის სტანდარტთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

სხდომაზე 21:00 საათზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 21: 26 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ არის მთელი რიგი შენიშვნები, რომელთა გამოსწორებაც შესაძლებელია. მან განმარტა, რომ საბჭო არ არის ვალდებული სრულად დაეყრდნოს ექსპერტთა პოზიციას, მაგრამ არსებობს არსებითი ხასიათის ხარვეზები, რომლებიც ვერ გამოსწორდება. შესაბამისად, საბჭომ დაწესებულებას ხარვეზების გამოსწორების ვადა რომ განუსაზღვროს, მსგავსი

ხასიათის ხარვეზები ვერ გასწორდება. დადასტურებული ფაქტია ის, რომ საექსპერტო ვიზიტის ეტაპისათვის ავტორიზაციის მაძიებლის მიერ სამივე სტანდარტი დარღვეული იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის განხილვის გადადების შუამდგომლობის დაკმაყოფილების საკითხი:

მომხრე - 2

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება:

უარი ეთქვას შპს „ინტერფარმი“-ს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სასწავლო უნივერსიტეტი „ინტერფარმი“-სათვის ავტორიზაციის გაუქმებაზე უარის თქმის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56²-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 56⁴-ე მუხლის მეორე პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 32-ე მუხლის შესაბამისად, შპს - სასწავლო უნივერსიტეტი „ინტერფარმი“-ს გაუქმდეს ავტორიზაცია.

2. შპს - თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტი „ჰიპოკრატეს“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ შპს - თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტი „ჰიპოკრატეს“ წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. შპს - თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტი „ჰიპოკრატეს“ წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტი „ჰიპოკრატეს“ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ შუდრამ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემულ შენიშვნებზე:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 პროგრამებში გვხვდება ტერმინოლოგიური ხასიათის უზუსტობები, რომელთა შესაბამისობაში მოყვანა არის მიზანშეწონილი (მაგ: როგორც ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების, ისე ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის აღწერილობის ნაწილში დიპლომირებული მედიკოსის/დიპლომირებული სტომატოლოგის, ასევე ფარმაციის ბაკალავრის სინონიმად მოხსენიებულია „დიპლომირებული სპეციალისტი“, რაც გარკვეულ გაუგებრობას იწვევს).

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა თამარ შუდრას, სწორად იყო თუ არა მითითებული პროგრამის სახელწოდება და მისანიჭებელი კვალიფიკაცია. თამარ შუდრამ განაცხადა, რომ პროგრამის სახელწოდება სწორად იყო მითითებული.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, პროგრამის სახელწოდებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის სწორი გამოყენების შემთხვევაში, პროგრამის აღწერილობით ნაწილში არასწორი ტერმინის გამოყენება არ ითვლება არსებით ხარვეზად. საბჭოს დანარჩენი წევრებიც დაეთანხმნენ საკითხის ამგვარ შეფასებას.

1.2 თითოეულ პროგრამაში მითითებულია მისი მოცულობა კრედიტებით და არ არის მითითებული ერთი კრედიტის ეკვივალენტი აკადემიურ საათებში, თუმცა, ეს თანაფარდობა აღნიშნულია კატალოგში.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, ერთი კრედიტის შესაბამისი საათობრივი ოდენობა განსაზღვრული იყო თუ არა რომელიმე დოკუმენტით. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, კრედიტ-საათების ოდენობა განსაზღვრული იყო დაწესებულების რექტორის ბრძანებით.

საბჭომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე ჩათვალა, რომ რამდენადაც ერთი კრედიტის შესაბამისი საათობრივი ოდენობა, განსაზღვრული იყო რექტორის ბრძანებით, ექსპერტთა დასკვნაში მოცემული შენიშვნა არ იყო არსებითი.

1.3 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამებში სწავლების ენად მითითებულია ქართული და რუსული ენა. რუსულ ენაზე სწავლების შეთანხმება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არ დასტურდება, ამასთან, არ არსებობს არც ერთი საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსი რუსულ ენაზე.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, რუსულენოვან პროგრამებზე მოთხოვნა საზოგადოების მხრიდან საკმაოდ დიდია. თუმცა, არაქართულენოვანი პროგრამის განხორციელებისათვის კანონი ითხოვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის თანხმობას. დაწესებულების რექტორმა განცხადა, რომ როცა შეიტყო ასეთი თანხმობის აუცილებლობის შესახებ, მიმართა განათლების და მეცნიერების სამინისტროს. 2011 წლის 24 აგვისტოს რიცხვით კი გამოსცა ბრძანება რუსულენოვანი პროგრამის გაუქმებისა და სტუდენტებისათვის შიდა მობილობის უფლების მინიჭების შესახებ. აღნიშნული ბრძანება წარდგენილ იქნა საბჭოს სხდომაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით განმარტა, რომ რამდენადაც რუსულენოვანი პროგრამის რეალიზება საჭიროებს რუსულ ენაზე პროგრამისა და სილაბუსების არსებობას, შპს – თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტმა „ჰიპოკრატემ“ დაიწყო მისი თარგმნა და ახალი სასწავლო წლისათვის აღნიშნული პრობლემა გამოსწორდებოდა.

ცენტრის დირექტორის მოადგილემ, დავით კერესელიძემ დაწესებულების წარმომადგენელს ჰკითხა, ყველა საგანში პროგრამა სრულად ხორციელდებოდა თუ არა რუსულ ენაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამა ნაწილობრივ ხორციელდებოდა რუსულ ენაზე, ხოლო ნაწილობრივ – ქართულ ენაზე.

1.4 საგანმანათლებლო პროგრამებში არ არის მითითებული მასზე დაშვების წინაპირობა და სწავლების მეთოდოლოგია.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, აღნიშნული ხარვეზი გამოსწორებულია. პროგრამებში დაშვების წინაპირობად მიეთითა ერთიანი ეროვნული გამოცდები, აგრეთვე განისაზღვრა სწავლების მეთოდოლოგია.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს განუმარტა, რომ ავტორიზაციის განაცხადის განხილვის დროს, საბჭო საექსპერტო ვიზიტის გარემოებების მიხედვით იღებს გადაწყვეტილებას. აღნიშნული ხარვეზების გასწორება კი მოხდა საექსპერტო ვიზიტის დასრულების შემდეგ.

1.5 ცალკეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე თანდართული სტუდენტთა შეფასების სისტემა წინააღმდეგობაშია სილაბუსებში არსებულ, ასევე კატალოგში და სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდზე წარმოდგენილ შეფასების სისტემასთან (მაგ. სტუდენტის მიღწევების შეფასების წესში მითითებულია, რომ „დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებების და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის (40 ქულა) გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა“, მაშინ, როდესაც სილაბუსებში და კატალოგში მითითებულია, რომ „გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის დამუშავების განმავლობაში მინიმუმ 30 ქულის დაგროვება“. აგრეთვე, მაგისტრის შეფასების სისტემა არ ითვალისწინებს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესს.

დაწესებულების რექტორმა განაცხადა, რომ არსებობს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული საერთო შეფასების სისტემა, რომელიც შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულ შეფასების სისტემას. მსგავსი ხარვეზი ფიქსირდება მხოლოდ 4 სილაბუსში.

საბჭომ ჩათვალა, რომ აღნიშნული შენიშვნა არ იყო არსებითი.

1.6 ზოგიერთ სილაბუსში დის ციპლინის შესწავლის წინაპირობად მითითებულია იმავე სემესტრის საგნები (მაგ.: შინაგან დაავადებათა დიაგნოსტიკა I-ის წინაპირობები: პათ. ანატომია, პათ. ფიზიოლოგია, ფარმაკოლოგია, სხივური დიაგნოსტიკა, ისწავლება იმავე სემესტრში).

დაწესებულების რექტორმა განაცხადა, რომ აღნიშნული წარმომადგენელმა მექანიკურ ხარვეზს, რომელიც უკვე გამოსწორებულია.

1.7 სასწავლო კურსებში, რომლებიც ისწავლება რამდენიმე სემესტრში შესაბამისი აღნიშვნის მითითებით, მაგ.: 1, 2 და ა. შ. შესწავლის მიზნები და სწავლის შედეგები აბსოლუტურად იდენტურია და არ ითვალისწინებს მზარდ შედეგებს, მაგ.: „სამედიცინო ქიმია 1“ და „სამედიცინო ქიმია 2“, „შინაგან დაავადებათა დიაგნოსტიკა 1“ და „შინაგან დაავადებათა დიაგნოსტიკა 2“, „ორთოპედიული სტომატოლოგია 1, 2, 3, 4, 5, 6, 7“ „სოციალური ფარმაცია 1“ და „სოციალური ფარმაცია 2“.

სხდომაზე მოხდა აღნიშნული სილაბუსების გამოკვლევა. სილაბუსების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სემესტრებად დაყოფილი საგნის სილაბუსები შინაარსობრივად (თემატურად) განსხვავებულია, თუმცა, იდენტურია ლექტორი, ლიტერატურა, მიზნები და შედეგები.

საბჭოს მდივნის, გაიანე სიმონიას განცხადებით, მედიცინის ცალკეულ მიმართულებებში, ზოგადი შედეგების შემთხვევაში, ისინი შეიძლება ერთნაირი იყოს. თუმცა, მაგალითად, თერაპიაში, სწავლების შედეგები ვერ იქნება ერთნაირი.

1.8 თეორიულ დისციპლინებში: ლათინური სამედიცინო ტერმინოლოგია და ინგლისური ენა სტუდენტის შეფასების კომპონენტად არჩეულია კლინიკური უნარ-ჩვევების შეფასება, რაც გაუმართლებელია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული საგნების სილაბუსებში შეფასების ფორმა შეიყვანა ინგლისური ენის სპეციალისტმა. რეალურად კი იგულისხმება სამედიცინო ტერმინოლოგიის ცოდნის შეფასება.

სხომის მდივნის, გაიანე სიმონიას განცხადებით, უნარ - ჩვევები ტერმინებით არ ფასდება, მისი გამოცდაც კი სპეციფიკურია. კლინიკური უნარ - ჩვევები გულისმობს „ექიმის უნარს აჩვენოს რისი გაკეთება შეუძლია ხელით.“

1.9 საგანმანათლებლო პროგრამაში მიღწეული სწავლის შედეგები არ არის აღწერილი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით, რასაც ითვალისწინებს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო და შესაბამისი დარგობრივი სტანდარტი. პროგრამებს არ ახლავს სწავლის შედეგების რუკა.

დაწესებულების რექტორმა განაცხადა, რომ ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები პროგრამაში არ იყო შეტანილი, თუმცა ისინი ცალკე ბრძანებით არის დამტკიცებული. აღნიშნული ბრძანება ვიზიტის დროს წარედგინა ექსპერტთა ჯგუფს. ექსპერტმა დაადასტურა აღნიშნული გარემოება.

2. ადამიანურ რესურსთან მიმართებით

2.1 სამაგისტრო პროგრამა ფარმაციის მენეჯმენტში ხორციელდება მხოლოდ მოწვეული სპეციალისტების მიერ. პროგრამას ხელმძღვანელობს ფარმაცევტულ მეცნიერებათა კანდიდატი ნ. დულაშვილი, რომელიც არის მოწვეული სპეციალისტი.

დაწესებულების რექტორმა განაცხადა, რომ ფარმაციის მაგისტრატურის განცორციელება შპს - „თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტი“ „ჰიპოკრატემ“ დაიწყო 1 წლის წინ. რამდენადაც იმ პერიოდისათვის აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურში უკვე ჩატარებული იყო, ერთი წლის განმავლობაში პროგრამა ხორციელდებოდა მოწვეული პერსონალის მიერ, თუმცა, ამჟამად გამოცხადებული კონკურსის შედეგად ფარმაციის მაგისტრატურას განახორციელებს აკადემიური პერსონალი.

2.2 კონკურსი, რომლის საფუძველზეც მოხდა დაწესებულების აკადემიური პერსონალის (46 პროფესორი) შერჩევა გამოცხადდა 2008 წლის 28 ივლისს, რექტორის №7/ო ბრძანებით (25.07.2008). აღნიშნულ ბრძანებაში დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადად მითითებულია 22 აგვისტო. კონკურსის საბოლოო შედეგების გამოცხადების თარიღად კი მითითებულია 30 აგვისტო. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი ნორმის იმ დროს მოქმედი რედაქციის თანახმად: „კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საქართველოს კანონმდებლობით და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით გათვალისწინებული წესით საბუთების მიღებამდე არა უგვიანეს 1 და კონკურსის ჩატარებამდე არა უგვიანეს ორი თვით ადრე“.

დაწესებულების აკადემიურ პერსონალი შერჩეულ იქნა 3 წლის ვადით, რაც იჭურება 2011 წლის 30 აგვისტოს. ამ ეტაპზე დაწესებულებას გამოცხადებული აქვს კონკურსი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად (ბრძანება №10/ო; 24.06.2011). განცხადება კონკურსის გამოცხადების თაობაზე გამოქვეყნდა 2011 წლის 6 ივლისს გაზეთ 24 საათში (№2754 (146)). ბრძანებაში და განცხადებაში გაწერილია საკონკურსო პირობები და ვადები. ვადებთან დაკავშირებით მითითებულია, რომ კონკურსი ცხადდება 6 ივლისს, საბუთების მიღება იწარმოებს 2011 წლის 25 ივლისიდან 20 აგვისტოს ჩათვლით. კონკურსის ჩატარების თარიღია - 27 აგვისტო. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად: „კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საქართველოს კანონმდებლობით და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით დადგენილი წესით, საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე“.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, კონკურსის ჩატარების აღნიშნული წესი ეწინააღმდეგებოდა თუ არა ამჟამად მოქმედ რედაქციას.

თამარ შუდრამ განაცხადა, რომ ამჟამად მოქმედი რედაქციით განსაზღვრული იყო ერთთვიანი შუალედი კონკურსის გამოცხადებასა და საბუთების მიღებას შორის. დაწესებულების მიერ აღნიშნული ერთთვიანი შუალედი დარღვეული იყო როგორც პირველი, ასევე მეორე კონკურსის ჩატარებისას. დაწესებულებას პირველი კონკურსით არჩეული ჰყავდა 46 აკადემიური პერსონალი, რომელთაგან 2011 წლის 30 აგვისტოს გასდით ვადა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე არ შემოსულა არც ერთი განცხადი. 2011 წლის 15 ივლისს ხელახლა გამოცხადდა კონკურსი (მესამე კონკურსი) კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვით.

სხდომაზე 22:10 საათზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 22:53 საათზე.

დავით კერესელიძემ დაწესებულების წარმომადგენელს ჰკითხა, როგორი ფორმით ხორციელდებოდა სწავლება რუსულენოვან პროგრამებზე.

მკს - თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტი „ჰიპოკრატეს“ რექტორმა განაცხადა, რომ რუსულ ენაზე საგნებს სწავლობდნენ ის სტუდენტები, რომლებიც ფლობდნენ ქართულს, თუმცა, მათ სურვილი ჰქონდათ, რომ საგანი რუსულად ესწავლათ. ამ მიზნით, ლექციები ტარდებოდა ქართულ – რუსულ ფორმატში – გამოცდები და შუალედური წერები ტარდებოდა რუსულად.

დისციპლინისა და მისი წინაპირობის ერთ სემესტრში სწავლების საკითხთან დაკავშირებით დაწესებულების რექტორმა განაცხადა, რომ წინაპირობებში გამოცდები უფრო ადრე ტარდება, ვიდრე მის თანმდევ დისციპლინაში.

ფარმაციის მენეჯმენტთან დაკავშირებით დაწესებულების რექტორმა განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამა მიღწევად რეჟიმშია.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულება ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს არ აკმაყოფილებდა ავტორიზაციის სტანდარტს, საბჭოს სხდომის მომენტისთვის კი მას ძირითადად უკვე გამოსწორებული აქვს ხარვეზები, თუმცა მაინც რჩება რიგი ხარვეზებისა, რომელთა აღმოფხვრის სამართლებრივი წესები არაა დასრულებული (მაგალითად, რუსულ ენაზე რეალიზებული პროგრამა მაძიებლის განცხადებით გაუქმდა და იმავდროულად სამინისტროშიც გაიგზავნა თანხმობის მისაღებად წერილი, რაც გაუგებრობას მაინც ტოვებს). ამასთან, თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კანონმდებლობის მიხედვით, მან უნდა იმსჯელოს საავტორიზაციო ვიზიტის დროს გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებებით და გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ამ გარემოებების შეფასების საფუძველზე. ამდენად, აღნიშნულიდან გამომდინარე, ის დაწესებულებისთვის ავტორიზაციის მინიჭების გადაწყვეტილებას ვერ დაუჭერს მხარს.

საბჭოს თავმჯდომარემ რექტორს ჰკითხა, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, რა რაოდენობის სტუდენტს გაუწევდა დაწესებულება საგანმანათლებლო მომსახურებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა იშუამდგომლა კონტიგენტის 500 სტუდენტით განსაზღვრის თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, თამარ შუდრამ მხარი დაუჭირა რექტორის შეამდგომლობას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტი „ჰიპოკრატეს“ ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56²-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56³-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტი „ჰიპოკრატეს“ 2012-2013 სასწავლო წლიდან 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და დამატებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება.

3. შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის წარმომადგენელს ჰკითხა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარებსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარები და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა სალომე ფრუიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ მთლიანობაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დადებითია.

მომხსენებლის თქმით, არსებობს განსხვავება დაწესებულების მიერ კითხვარში მითითებულ და ექსპერტების მიერ დადასტურებულ ფართებს (მათ შორის სასწავლო ფართს) შორის. კერძოდ, თვითშეფასების კითხვარის მიხედვით დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა შეადგენს 3192,8 კვ. მ.-ს, საიდანაც სასწავლო ფართის ოდენობა არის 1940,1 კვ. მ., ხოლო დამხმარე ფართი - 1252,7 კვ. მ.

შენობა-ნაგებობის ადგილზე დათვალიერებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა შეადგენს 3497,4 კვ. მ.-ს, საიდანაც სასწავლო ფართის ოდენობაა 1803 კვ. მ., ხოლო დამხმარე ფართი - 1491,7 კვ. მ.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების რექტორი დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიციას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

მომხსენებელმა ისაუბრა აგრეთვე პროფესიული განათლების ნაწილში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირებულ შენიშვნებზე, კერძოდ, აღნიშნა, რომ რამდენადაც უნივერსიტეტს არ აქვს გამიჯნული ცალკე ფართი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის, სასწავლო ფართთან დაკავშირებული შენიშვნა იდენტურია.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, დაედასტურებინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წერილობითი შუამდგომლობა, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, სტუდენტთა საერთო რაოდენობის 1500-ით განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა შუამდგომლობა.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარში სტუდენტებისათვის სასწავლო ადგილების

რაოდენობა განსაზღვრულია 887-ით. შესაბამისად, ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, დაწესებულებას შესაძლებლობა ექნება, მიიღოს 900 სტუდენტი და პროფესიული სტუდენტი.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა აღნიშნულს და სტუდენტთა საერთო რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთათვის 50 ადგილის გამოყოფას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56²-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56³-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-13 მუხლის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს 2012-2013 სასწავლო წლიდან 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და დამატებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება.

სტუდენტთა რაოდენობა განესაზღვროს 900-ით, სტუდენტთა საერთო რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა - 50-ით.

4. შპს - თელავის ბიზნესისა და მართვის კოლეჯ „ჯორჯიას“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ შპს - თელავის ბიზნესისა და მართვის კოლეჯ „ჯორჯიას“ წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 შპს - თელავის ბიზნესისა და მართვის კოლეჯ „ჯორჯიას“ შემუშავებული აქვს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო საფეხურისათვის სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. თუმცა, დოკუმენტის ვიზუალური დათვალიერების გაირკვა, რომ მოცემული დოკუმენტი სხვა ნორმატიულ მასალასთან ერთად, ეფუძნება ევრაზიის საერთაშორისო უნივერსიტეტის წესდებას (აღნიშნული ადგილი ნაწილობრივ გადახაზულია კორექტორის საშუალებით).

1.2 კოლეჯს აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, თუმცა იგი არ არის თავსებადი თავად დაწესებულების სასურველ სახესთან, მაგალითად, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა დოკუმენტი - „საგანმანათლებლო პროგრამების, საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის და სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასების შიდა და გარე მექანიზმები“, რომელიც ეხება სწავლების სხვადასხვა საფეხურს (საბაკალავრო, სამაგისტრო პროგრამებს), თუმცა კოლეჯი თავად გეგმავს მხოლოდ საბაკალავრო პროგრამის განხორციელებას. თანდართული კურიკულუმის შემოწმების ფორმაც მოიცავს როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამის შეფასებას.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მომხსენებელს, მისთვის წარედგინა შენიშვნაში მითითებული დოკუმენტი (ბაკალავრიატის საგანმანათლებლო საფეხურისათვის სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები) და დაინტერესდა, თუ რა გზით დაადგინა ექსპერტთა ჯგუფმა, რომ იგი მართლაც ეფუძნებოდა ევრაზიის საერთაშორისო უნივერსიტეტის წესდებას, მაშინ როდესაც, მოცემულ დოკუმენტი სათანადო წესით არის დამტკიცებული შპს - თელავის ბიზნესისა და მართვის კოლეჯ „ჯორჯიას“ მიერ, აქვს შესაბამისი ბეჭედი და უფლებამოსილი პირის ხელმოწერა.

მომხსენებლის განმარტებით, დოკუმენტში აღინიშნებოდა კორექტორით ჩასწორებული ადგილი, საიდანაც გარკვევით იკითხებოდა - „ევრაზიის საერთაშორისო უნივერსიტეტის წესდება“.

საბჭომ იმსჯელა აღნიშნულ ხარვეზზე, არ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული პოზიცია და ჩათვალა, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა სტანდარტის დარღვევას.

საბჭოს თავმჯდომარემ პროგრამულ ნაწილში დაფიქსირებულ მეორე ხარვეზთან დაკავშირებით, მომხსენებელს სთხოვა დაეზუსტებინა, რომ შპს - თელავის ბიზნესისა და მართვის კოლეჯი „ჯორჯია“, ამ ეტაპზე, გეგმავს მხოლოდ საბაკალავრო პროგრამის განხორციელებას, რომელთან დაკავშირებული რეგულაციებიც სრულად აკმაყოფილებს არსებულ სტანდარტს. ამასთან, საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას უფლება, რომ სამომავლოდ ეფიქრა სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაზე და შესაბამისი უზამდგომლობით მიემართა ცენტრისთვის.

მომხსენებელმა დაადასტურა, რომ საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებაში ხარვეზი არ დადგენილა, ხოლო რაც შეეხება, სამაგისტრო პროგრამას, დაწესებულებას ჰქონდა უფლება დადგენილი წესით მიეღო სამაგისტრო პროგრამის განხორციელების უფლება.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექპერტმა მართებულად დააფიქსირა შენიშვნა და დაწესებულებას ექსპერტთა ვიზიტის განხორციელებამდე უნდა ეზრუნა ამ ტიპის ხარვეზის აღმოფხვრაზე. საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა განმარტება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, თავდაპირველად მისი სურვილი იყო დაეფუძნებინა საერთაშორისო უნივერსიტეტი, შესაბამისად, მას უკვე მომზადებული ჰქონდა სამაგისტრო პროგრამები, თუმცა შემდგომ მიიჩნია, რომ არ იყო მიზანშეწონილი ამდენად დიდ საქმესთან შეჭიდება და საბოლოოდ ჩამოაყალიბა კოლეჯის ფორმის სასწავლებელი.

საბჭომ იმსჯელა აღნიშნულ ხარვეზზე და მიიჩნია, რომ დაწესებულებამ წინმსწრებად ასახა ერთ-ერთ აქტში სამაგისტრო პროგრამებთან დაკავშირებული რეგულაციები, შესაბამისად, არ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული პოზიცია და ჩათვალა, რომ მოცემულ შემთხვევაში ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1 დაწესებულება, მის მიერ წარმოდგენილი ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე, ფაქტობრივად ფლობს, ქ. თელავში, ჭავჭავაძის ქ. №100-ში მდებარე შენობა-ნაგებობიდან 700 კვ. მ. ფართს, რომლის მესაკუთრე ხელშეკრულების მიხედვით არის სს „ჭადარი“. თუმცა, საჯარო რეესტრის მონაცემებით, აღნიშნულ ფართზე სს „ჭადარის“ საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის. შესაბამისად, არც ქირავნობის ხელშეკრულება არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულების მიერ შენობა-ნაგებობით მართლზომიერი სარგებლობა არ დასტურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ამასთან, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარში დაფიქსირებულია 713 კვ. მ. საერთო ფართი, ხოლო წარმოდგენილ ქირავნობის ხელშეკრულებაში საერთო ფართად მითითებულია 700 კვ. მ. ამასთან, ვიზუალური დათვალიერებითა და შენობის შიდა აზომვითი ნახაზის შესაბამისად, დაწესებულება ფაქტობრივად ფლობს – 690,93 კვ.მ. საერთო ფართს, რაც ასევე წინააღმდეგობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/5 ბრძანებით დამტკიცებულ “საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების” მე-10 მუხლის “ა.ა” ქვეპუნქტთან.

2.2 2011 წლის 3 თებერვლის №1 ბრძანებას ხელს აწერს უნივერსიტეტის რექტორი გიორგი ჯანაშია, რომლის რექტორად დანიშნა მოხდა №2 ბრძანებით. ამასთან, აღნიშნულ ბრძანებას (№2) ხელს აწერს თავად გიორგი ჯანაშია, როგორც უნივერსიტეტის რექტორი.

2.3 დაწესებულებას შემუშავებული აქვს დაცვის და უსაფრთხოების სამსახურის, ასევე სამედიცინო სამსახურის დებულება, თუმცა სამედიცინო დახმარების აღმოჩენასა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი დაწესებულებას არ ჰყავს.

2.4 საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებული ლიტერატურის შერჩევითი მეთოდით გადამოწმების შედეგად 5 სილაბუსში მითითებული ძირითადი ლიტერატურა არ აღმოჩნდა ბიბლიოთეკაში.

2.5 დაწესებულების ვებგვერდი - www.tebico.ge, ნაწილობრივ ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე არ არის განთავსებული ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი, საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები.

2.6 2012-2013 წლის გეგმა დანართის სახით არის გაწერილი პერიოდებზე, ხოლო გრძელვადიანი გეგმა არ არის გაწერილი კონკრეტულ ვადებში, ასევე არის გარკვეული უზუსტობები, მაგალითად: 2012-2013 წლის გეგმაში ერთ-ერთ პუნქტად მითითებულია 2011-2012 სასწავლო წლის სამუშაო გეგმის დამტკიცება. კოლეჯის განვითარების სტრატეგიული გეგმა მოიცავს ზოგად ინფორმაციას სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

საბჭოს თავჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ჰქონდა თუ არა მას საჯარო რეესტრის ამონაწერი, რომელიც ადასტურებს მის მიერ აღნიშნული ფართით ლეგიტიმური სარგებლობის ფაქტს.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მათ თან ჰქონდათ სს „ჭადრის“ მიერ გამოგავნილი წერილი, რომლითაც იგი ადასტურებს, რომ ფართი მართლაც მის საკუთრებაშია. დაწესებულების წარმომადგენელმა აქვს აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის მონაცემებში უახლოეს მომავალში აისახება სს „ჭადრის“ საკუთრების უფლება ქ. თელავში, ჭავჭავაძის ქ. №100-ში მდებარე შენობა-ნაგებობაზე.

საბჭოს თავჯდომარემ განმარტა, რომ საბჭოს კომპეტენციაში არ შედიოდა სს „ჭადრის“ საკუთრების უფლების არსებობა/არარსებობის საკითხის განხილვა, ხოლო შპს - თელავის ბიზნესისა და მართვის კოლეჯი „ჯორჯიას“ მიერ ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე ფართის ფლობა უნდა დადასტურდეს საჯარო რეესტრის ამონაწერით.

საბჭოს თავჯდომარემ დააფიქსირა საკუთარი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ საავტორიზაციო ვიზიტის ეტაპისათვის დაწესებულებას არ გააჩნდა კანონიერი ფართი და მატერიალური რესურსის ამ ნაწილში მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა.

საბჭოს თავჯდომარემ რექტორის მიერ გამოცემულ ბრძანებებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ იგი ვერ ხედავდა მოცემულ შემთხვევაში სტანდარტის დარღვევის ფაქტს, ვინაიდან გიორგი ჯანაშიას, როგორც შპს - თელავის ბიზნესისა და მართვის კოლეჯი „ჯორჯიას“ დირექტორს, შეეძლო დაენიშნა საკუთარი თავი კოლეჯის დირექტორად. საბჭოს თავჯდომარემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, დაფიქსირდა თუ არა ბრძანებათა წარმოების წესში ხარვეზი, რაზეც მომხსენებელმა განმარტა, რომ ხარვეზი ეხებოდა №1 და №2 ბრძანებას, ვინაიდან №1 ბრძანებას ხელს აწერდა რექტორი გიორგი ჯანაშია, რომელიც რეალურად რექტორად დანიშნულ იქნა №2 ბრძანებით. ამასთან, რექტორის დანიშვნის ბრძანებას თავად რექტორი გიორგი ჯანაშია აწერს ხელს.

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა განმარტების მიცემა დაცვის თანამშრომლისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელ პირებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მას შემუშავებული აქვს დებულებები, ხოლო თანამშრომლები ჯერ არ ჰყავს, რადგან არ ჰყავს სტუდენტები.

საბჭოს წევრმა გაიანე სიმონიამ აღნიშნა, რომ სამედიცინო დახმარების აღმოჩენა შეიძლება დაჭირდეს არამხოლოდ სტუდენტს, არამედ აკადემიურ და დამხმარე პერსონალსაც, რომელთა უმეტესობაც დაწესებულებას უკვე ჰყავს შერჩეული.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენელს ბიბლიოთეკასთან მიმართებაში დაფიქსირებულ შეფასებასთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკაში არ აღმოჩნდა მხოლოდ ოთხი წიგნი და არა ყველა ძირითადი ლიტერატურა, როგორც ეს მომხსენებელმა ბრძანა.

მომხსენებელმა დააზუსტა, რომ საუბარი იყო არა ზოგადად ყველა ძირითად, არამედ ხუთ სულაბუსში მითითებულ ყველა ძირითად ლიტერატურაზე, რომელთაგან ბიბლიოთეკაში არც ერთი არ აღმოჩნდა.

საბჭოს წევრმა ლალი ღოდელიანმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს იმასთან დაკავშირებით, თუ საერთო ჯამში რამდენ პროგრამას ახორციელებდა დაწესებულება.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, კოლეჯში ისწავლებოდა სულ 55 საგანი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით მომხსენებელს, თუ რამდენი ძირითადი ლიტერატურა იყო მითითებული თითოეულ სილაბუსში.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სილაბუსებში მითითებული იყო უმეტესად ერთი ან ორი ძირითადი ლიტერატურა.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენელს ვებგვერდთან დაკავშირებით დაფიქსირებულ შეფასებაზე შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, იგი არ ეთანხმებოდა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებულ შეფასებას, ვინაიდან ვებგვერდზე ინფორმაცია სრულად იყო განთავსებული.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ცენტრის წარმომადგენლებს დაწესებულების წარმომადგენელთან ერთად ადგილზე გადამოწმებინათ ვებგვერდი. გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ვებგვერდზე არ იყო განთავსებული ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები, რასაც დაწესებულების წარმომადგენელიც დაეთანხმა.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი მოსაზრება სამოქმედო გეგმებში დაფიქსირებულ შენიშვნასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, აღნიშნული წარმომადგენელმა მხოლოდ მექანიკური ხასიათის შეცდომას.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან შპს - თელავის ბიზნესისა და მართვის კოლეჯ „ჯორჯიას“ შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით

3.1 ასისტენტ-პროფესორის რუსუდან ნანავას პირადი საქმით დგინდება, რომ მას აქვს მაგისტრის აკადემიური ხარისხი, რაც არ შეესაბამება ასისტენტ-პროფესორის დაკავებულ თანამდებობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მას თან ჰქონდა ინგლისურ ენაზე არსებული დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ რუსუდან ნანავა არის დოქტორანტი. ამასთან, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რუსუდან ნანავა პარალელურად არის კავკასიის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორიც.

საბჭოს წევრმა გაიანე სიმონიამ აღნიშნა, რომ მოცემული დოკუმენტიდან ირკვევა, რომ რუსუდან ნანავა არის დოქტორის კანდიდატი.

საბჭოს თავჯდომარემ სთხოვა ცენტრის წარმომადგენელს გადაემოწმებინა, ფიქსირდებოდა თუ არა რეესტრში დოქტორანტი რუსუდან ნანავა და იყო თუ არა ის კავკასიის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი.

ცენტრის წარმომადგენლის განმარტებით პროფესორ-მასწავლებელთა რეესტრის მიხედვით, რუსუდან ნანავა ფიქსირდება კავკასიის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორად.

საბჭომ იმსჯელა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ არსებული ინფორმაცია საკმარისი იყო, რათა ეჭვი არ შეეტანათ რუსუდან ნანავას კვალიფიკაციაში, შესაბამისად, არ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული პოზიცია და ჩათვალა, რომ მოცემულ შემთხვევაში ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავჯდომარემ აღნიშნა, რომ მისი მოსაზრებით, დაწესებულების მიმართ ფიქსირდება სამი ძირითადი შენიშვნა, რომელთაგან ორი, კერძოდ, ბიბლიოთეკასა და ვაზგვერდთან დაკავშირებული ხარვეზები მარტივად გამოსწორებადი; თუმცა, არსებობს მესამე, ყველაზე სერიოზული ხარვეზი - ფართთან დაკავშირებით, რაც მას არ აძლევს უფლებას, მიიღოს ავტორიზაციასთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილება. საბჭოს თავჯდომარემ მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს, იმ შემთხვევაში, თუ ისინი კენჭისყრის შედეგად ვერ მიიღებდნენ ავტორიზაციას, გამოესწორებინათ მომხსენებლის მიერ დაფიქსირებული ყველა ხარვეზი, მათ შორის ის ხარვეზებიც, რომლებიც საბჭომ არ გაიზიარა და თუ სურვილი ექნებოდათ, მხოლოდ ამის შემდეგ შემოეიტანათ ახალი საავტორიზაციო განაცხადი.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თელავის ბიზნესისა და მართვის კოლეჯ „ჯორჯიას“ ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - თელავის ბიზნესისა და მართვის კოლეჯ „ჯორჯიას“ უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

23:50 საათზე საბჭომ კენჭი უყარა სხდომის 26 აგვისტოს გაგრძელების საკითხს. გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

5. შპს - აგრობიზნესის და აგროეკოლოგიის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ დირექტორის №2 ბრძანება გამოიცა ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში, 2011 წლის 11 აგვისტოს. ამ ბრძანებით დამტკიცებულია 27 საგანმანათლებლო პროგრამა, ხოლო დაწესებულების თვითშეფასებით წარმოდგენილი იყო 45 საგანმანათლებლო პროგრამა. შედარებით დადგინდა, რომ ზოგიერთი პროგრამა გაუქმებულია, ხოლო ზოგიერთი დამატებულია თვითშეფასების კითხვარის წარმოდგენის შემდეგ.

ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში 2011 წლის 11 აგვისტოს დირექტორმა გამოსცა №1 ბრძანება, რომლითაც დამტკიცდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება. ამ დებულების 3.3 პუნქტის თანახმად, სამსახური კოორდინაციას უწევს საგანმანათლებლო პროგრამებისა და სტანდარტების შემუშავებას და დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის რექტორს. კოლეჯის რექტორი დანიშნული ან არჩეული არ არის.

ზეპირ მოსმენაზე, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საავტორიზაციო განაცხადის წარმოდგენის დროს დაწესებულებას სურდა 45 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, თუმცა ფართთან დაკავშირებული გარემოებების გამო, კერძოდ, ფართის დიდ ნაწილზე მიმდინარეობს რემონტი, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ დაწესებულება განხორციელებს მხოლოდ 27 საგანმანათლებლო პროგრამას..

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ წესდების 5.2.2 მუხლის მიხედვით, დირექტორს აქვს უფლება, მართოს კოლეჯი, მაგრამ ავტორიზაციის გავლის შემდეგ იგი საბჭოებთან ერთად, დამფუძნებელთა საბჭოს წარდგინების საფუძველზე, ირჩევს რექტორატს. შესაბამისად, ვინაიდან დაწესებულებას ამ ეტაპზე არ აქვს ავტორიზაცია, ყველა სახის აქტს გამოსცემს დირექტორი.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს ჰკითხა, დანიშნული იყო თუ არა პერსონალი. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ნაწილი უკვე დაინიშნა. მანამდე დაწესებულებას შეთანხმებები ჰქონდა ყველა იმ ავტორთან, რომელმაც წარმოადგინა პროგრამები. ეს პირები არიან პოტენციური მასწავლებლები, რომლებიც ავტორიზაციის შემდეგ დაინიშნებიან თანამდებობებზე.

საბჭოს თავმჯდომარემ არ გაიზიარა ექსპერტთა შენიშვნა. ამასთან, მან აღნიშნა, რომ საბჭო იმსჯელებდა 27 საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

1.2 ტუროპერატორის მეოთხე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას არ ერთვის სასწავლო კურსის - „საზოგადოებასთან ურთიერთობა“ სილაბუსი.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ვიზიტის დროს არსებობდა სილაბუსი, მაგრამ რადგანაც ექსპერტებს არ მოუწოდებიათ ინფორმაციამისი არარსებობის შესახებ, დაწესებულება ვერ წარადგენდა შესაბამის დოკუმენტს. სხომაზე შემოწმდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სილაბუსის შესაბამისობა კანონმდებლობასთან, რის შემდეგაც საბჭომ შენიშვნა მოხსნა.

1.3 წარმოდგენილ იქნა უცხო ენის მეორე დონის სასწავლო კურსის სილაბუსი, რომელშიც მითითებული არ არის კრედიტების რაოდენობა და პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ხდება სასწავლო კურსის სწავლება.

საბჭოს სხდომაზე, გადამოწმების შედეგად, დადასტურდა, რომ პროგრამაში არსებობდა ზემოაღნიშნული ხარვეზი. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სილაბუსი არ არის იდეალური.

1.4 სასწავლო პრაქტიკის სილაბუსში პრაქტიკაზე დაშვების წინაპირობად მითითებული სასწავლო კურსების: „საქართველოს ბალ-პარკებისა“ და „საქართველოს ამპეოლოგიის“ სწავლება ტუროპერატორის მესამე საფეხურის პროგრამით გათვალისწინებული არ არის.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, აღნიშნული შენიშვნა მნიშვნელოვანია. მან სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს განემარტა, იწყებდა თუ არა სტუდენტი პრაქტიკას იმ შემთხვევაში, თუ მას მოპოვებული ჰქონდა კრედიტი კონკრეტულ საგნებში და ასწავლიდა თუ არა დაწესებულება ამ საგნებს. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულებას აქვს ამპეოლოგიის სასწავლო კურსი. ბალ-პარკები პროგრამის ავტორთან შეთანხმებით კი ამოღებულ იქნა პროგრამიდან. ეს კურსი ჩანაცვლებულ იქნა სხვა საგნით. დაწესებულების ხარვეზი იყო ის, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს ვერ წარადგინეს დოკუმენტები პროგრამის ცვლილების შესახებ. პროგრამა ჩასწორდა საექსპერტო ვიზიტის შემდეგ. ამდენად, საბჭომ გაიზიარა ექსპერტის შენიშვნა.

1.5 გიდის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების კრედიტებისა და საათების რაოდენობა მე-2 სემესტრში არ ემთხვევა პროგრამით ამ სემესტრისათვის გამოყოფილი კრედიტებისა და საათების რაოდენობას.

საბჭოს განმარტებით, აღნიშნული არის დაჯამების პრობლემა (ტექნიკური ხარვეზი).

1.6 შემდუღებლის პირველი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, უცხო ენის სასწავლო კურსის მოცულობაა 1 კრედიტი, ხოლო სილაბუსით, რომელსაც ეწოდება „ინგლისური“, გათვალისწინებულია 2 კრედიტი. ამავე პროგრამის საწარმოო პრაქტიკის სილაბუსში პრაქტიკაზე დაშვების წინაპირობად მითითებული სასწავლო კურსების: „საზოგადოებრივი საქმე მასალათმცოდნეობის საფუძვლებით“, „მანქანათა ნაწილებისა“ და „ურთიერთშეცვლადობა, ტექნიკური გაზომვების“ სწავლება სასწავლო გეგმით გათვალისწინებული არ არის.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით აღნიშნული არის მექანიკური შეცდომა, რომელიც უკვე გამოსწორებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა დაეხუსტებინა თუ როდის გამოასწორეს ხარვეზი. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ხარვეზი გასწორდა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის მიღების შემდეგ.

საბჭოს წევრმა ლალი ლოღელიანმა აღნიშნა, რომ იმდენად არარეალურია ამ საგნების ამ საფეხურის პროგრამაში სწავლება, რომ ნამდვილად ტექნიკური შეცდომა იქნებოდა დაშვებული დაწესებულების მიერ.

1.7 გარემოს დაცვის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროგრამის სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა არ ემთხვევა სილაბუსებში მითითებულ კრედიტების რაოდენობას. მაგალითად: ბუნებითსარგებლობა პროგრამით 2-კრედიტიანია, სილაბუსით კი 6-კრედიტიანი. ეკოლოგია - პროგრამით 2-კრედიტიანია, სილაბუსით კი 5-კრედიტიანი. ქიმიზაცია და გარემო - პროგრამით 2-კრედიტიანია, სილაბუსით კი 4-კრედიტიანი. გარემოს მცენარეული საფარის მონიტორინგი და შეფასება პროგრამით 3-კრედიტიანია, სილაბუსით კი 5-კრედიტიანი. ბოტანიკა - პროგრამით 2-კრედიტიანია, სილაბუსით 3-კრედიტიანი.

წარმომადგენლის განმარტებით, ყველა ხარვეზი გასწორებულია. ამასთან, მისი განცხადებით დაწესებულება მოხნის პროგრამას, თუ ეს დაწესებულების მდგომარეობას გაამძიმებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საკითხის განხილვის დროს დაწესებულების წარმომადგენელმა იშუამდგომლა დაწესებულების პირობების შეფასება 27 საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყველა ხარვეზი გასწორებულია.

1.9 დაწესებულების კატალოგი არ მოიცავს ინფორმაციას დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

დავით კერესელიძემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა კითხვით, არსებობს თუ არა კატალოგი. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით არსებობს, თუმცა მასში არის მხოლოდ პროგრამების ჩამონათვალი. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განაცხადა, რომ ვებგვერდზე არ არის განთავსებული კატალოგი.

1.10 დირექტორის 2011 წლის 11 აგვისტოს №1 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის პირველი მუხლით განსაზღვრულია სტუდენტის სტატუსის მოპოვების პირობები, რაც არ ითვალისწინებს აბიტურიენტის ჩარიცხვის შესაძლებლობას წინა საფეხურის არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების საფუძველზე.

დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების წესი და პროცედურა.

1.11 ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით სამსახურს ევალება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასება, თუმცა დებულებით გათვალისწინებული შეფასების მექანიზმის ამსახველი დოკუმენტაცია (ანკეტები და სხვა) წარმოდგენილი არ ყოფილა.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

ბიბლიოთეკაში დაცული ლიტერატურის უმრავლესობა არის აგრარული, გარემოს დაცვისა და ეკოლოგიის მიმართულებით. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის უმრავლესობა ბიბლიოთეკაში არ მოიძებნა.

მომხსენებელმა დააზუსტა, რომ შენიშვნა ეხება ძირითად ლიტერატურას. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სახელმძღვანელოები დაწესებულებას აჩუქეს ავტორებმა.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების ნაწილი ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ. თუმცა არსებობს ზოგიერთი პროგრამა, როგორცაა ბულალტრის, გიდის, ტუროპერატორის, მასაჟისტის შესაბამისი საფეხურის პროგრამები, რომლების განხორციელებისათვის პროფესიული განათლების მასწავლებლები დაწესებულებას არ ჰყავს. დაწესებულებას არ ჰყავს აგრეთვე უცხო ენების მასწავლებლები.

3.2 მასწავლებლის დანიშვნის წესი ითვალისწინებს დეკანის წარდგინებას, რაც არ არსებობს, რადგანაც კოლეჯში დეკანი არ არის დანიშნული, თუმცა, ბრძანების გამოცემის საფუძველში დეკანის თანხმობის არსებობის შესახებ მითითებულია.

დაწესებულების წარმომადგენელი არ დაეთანხმა ექსპერტს 3.1 შენიშვნასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებაში დანიშნულია 18 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომლებსაც აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია. დაწესებულებას კონტაქტი აქვს სხვა პირებთან, რომლებიც დაინიშნებიან ავტორიზაციის გავლის შემდეგ. ჯამში დაწესებულებას ეყოლება 30 პირი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის. დავით კერესელიძემ სთხოვა წარმომადგენელს განემარტა, 30 მასწავლებლის გამოყენებით შესაძლებლად მიაჩნდა თუ არა 27 პროგრამის განხორციელება. წარმომადგენელმა მაგალითად მოიყვანა შედუღების პროგრამა, რომლის განხორციელებისთვისაც გამოიყენება 3 პირი. სულ არის 5 საგანი. წარმომადგენელმა განმარტა, რომ ავტორიზაციის მიღებამ შემთხვევაში დაწესებულებას ეყოლებოდა 50 მასწავლებელი.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ამ რაოდენობით შესაძლებელი იქნებოდა სასწავლო პროცესის წარმართვა.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოყო არსებითი პრობლემები: 1. სასწავლო პრაქტიკის სილაბუსში წინაპირობა არის საგნები, რომლებიც პროგრამით არ ისწავლება; 2. პროგრამით გათვალისწინებული საკრედიტო განაწილება არ არის ადეკვატურად ასახული სილაბუსებში და არ ემთხვევა ერთმანეთს; 3. ბიბლიოთეკის ნაწილში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეუსაბამობა პროფესიული პროგრამების სილაბუსებში მითითებულ სილაბუსებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - აგრობიზნესის და აგროეკოლოგიის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - აგრობიზნესის და აგროეკოლოგიის საზოგადოებრივ კოლეჯს უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

6. შპს - სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებულ საერო სკოლა „ბინულის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ შპს - სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებული საერო სკოლა „ბინულის“ წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე:

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

ექსპერტთა მიერ სკოლის ბიბლიოთეკის შემოწმების დროს ადგილზე არ აღმოჩნდა ლიტერატურის ნაწილი. თუმცა, ექსპერტთა ვიზიტის დასრულებამდე დაწესებულების წარმომადგენლებმა დამატებით წარმოადგინეს სასწავლო ლიტერატურა, რომელიც მათი განმარტებით გადაცემული ჰქონდათ მასწავლებლებს პირადი სარგებლობისათვის. აღნიშნული წიგნების გათვალისწინებით, სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან შპს - სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებულ საერო სკოლა „ბინულის“ შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა, დაედასტურებინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წერილობითი შუამდგომლობა, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა რაოდენობის 340-ით განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა შუამდგომლობა.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ექსპერტები დაეთანხმნენ დაწესებულების პოზიციას და აღნიშნეს, რომ დაწესებულებას შესაძლებლობა ექნება, მიიღოს 340 მოსწავლე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებულ საერო სკოლა „ბინულის“ ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებულ საერო სკოლა „ბინულს“ მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა რაოდენობა განესაზღვროს 340-ით.

7. შპს - „ერუდიტის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ შპს - „ერუდიტის“ წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების დირექტორმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - „ერუდიტის“ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლამა მარგიშვილმა, რომელმაც საბჭოს შეახსენა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაწესებულების მიმართ შენიშვნები არ ჰქონია.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა, დაედასტურებინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წერილობითი შუამდგომლობა, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა რაოდენობის 180-ით განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა შუამდგომლობა. დაწესებულებამ სხდომაზე წარმოადგინა 60 მერხზე შესყიდვის აქტი.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ექსპერტები დაეთანხმნენ დაწესებულების პოზიციას და აღნიშნეს, რომ დაწესებულებას შესაძლებლობა ექნება, მიიღოს 180 მოსწავლე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „ერუდიტის“ ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - „ერუდიტის“ მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა რაოდენობა განესაზღვროს 180-ით.

სხდომაზე 00:48 საათზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 01:05 საათზე.

8. სპს - ცოდნა - ნათელა მურადაშვილის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ სპს - ცოდნა - ნათელა მურადაშვილის წარმომადგენელს ჰკითხა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ქეთევან ფანჭულიძემ, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 თბილისში, სარაჯიშვილის გამზ. N17-ში, სკოლა ფლობს 640 კვ. მ. ფართს, სადაც ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები. სამუშაოებს უზრუნველყოფს შპს - საქართველოს საავტომობილო-საგზაო კოლეჯი. სკოლასა და საავტომობილო-საგზაო კოლეჯს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, სარემონტო სამუშაოების დასრულება იგეგმებოდა მიმდინარე წლის 20 აგვისტომდე.

თავმჯდომარემ განმარტა, რომ მსგავს საკითხებზე საბჭოს დადებითი გადაწყვეტილებები ჰქონდა მიღებული. სწორედ ამ პერიოდში არის შესაძლებელი სარემონტო სამუშაოების განხორციელება, ვინაიდან არ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი.

1.2 სკოლას ფიზიკურ პირთან, რამაზ ცაგარეიშვილთან, გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სასკოლო მერხებისა და სკამების დამზადების თაობაზე. ხელშეკრულების თანახმად, მენარდე ვალდებულია, 2011 წლის ივლისიდან 2011 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით სკოლას დაუშვადოს 150 ცალი ერთადგილიანი სასკოლო მერხი და 150 ცალი სკამი. ვიზიტისას დაფიქსირდა უკვე დამზადებული 73 ცალი ახალი მერხი და სკამი.

1.3 სკოლას შპს - საქართველოს საავტომობილო-საგზაო კოლეჯთან გაფორმებული აქვს შეთანხმება, რომლის საფუძველზე სკოლას შეუძლია, ისარგებლოს კოლეჯის საკუთრებაში არსებული სამედიცინო პუნქტით, სააქტო დარბაზით, სასადილო ოთახით, რომლებიც კეთილმოწყობილია და შეესაბამება სკოლის მოთხოვნებს. სამედიცინო პუნქტს მედიკამენტებით უზრუნველყოფს სკოლა.

საბჭომ ჩათვალა, რომ აღნიშნული არ არის პრობლემური საკითხი. ეს მხოლოდ ფაქტობრივი გარემოების გაცნობაა საბჭოსთვის.

1.4 სკოლამ წარმოადგინა „უძრავი ქონების იჯარის შესახებ“ ხელშეკრულების დანამატი“ რომლის თანახმად, მეიჯარე - შპს - საქართველოს საავტომობილო-საგზაო კოლეჯი მოიჯარეს უფლებას აძლევს, მოაწყოს კალათბურთისა და მძლეოსნობის მოედნები კოლეჯის საკუთრებაში არსებულ 400 კვ. მ. მიწის ფართზე და ისარგებლოს ამ მოედნებით. სკოლის დირექტორის განმარტებით, მოედნები სასწავლო წლის დასაწყისისათვის მზად იქნება ფუნქციონირებისათვის. ვიზიტის მომენტში უკვე ეკიდა კალათბურთის ფარი, თუმცა ჯერ არ არსებობდა შესაბამისი საფარი.

ამასთან, აღნიშნული ფართი არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. თავმჯდომარის განმარტებით, ეს ფართი ვერ ჩაითვლებოდა კონტინგენტის განსაზღვრის მიზნებისთვის.

1.5 „უძრავი ქონების იჯარის შესახებ“ ხელშეკრულების დანამატის“ თანახმად, მეიჯარე სკოლას უფლებას აძლევს, 2018 წლის 1 ივნისამდე ისარგებლოს ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის შესაბამისად აღჭურვილი ლაბორატორიებით, მეიჯარესა და მოიჯარეს შორის სასწავლო წლის დასაწყისში საგაკვეთილო ცხრილების შეთანხმებით.

თავმჯდომარის აზრით, ეს საკითხი პრობლემას არ წარმოადგენს. ამასთან, თავმჯდომარის თხოვნით, დაწესებულების წარმომადგენელმა დააზუსტა, რომ დაწესებულებას სპორტის სახეობებად არჩეული ჰქონდა

მაგიდის ჩოგბურთი და ჭადრაკი. ამჟამად, რადგანაც დაწესებულებას ფართი აქვს, გადაწყვეტილია კალათბურთის, ფრენბურთის მოედნების და მძლეოსნობის ბილიკები მოწყობა.

მომხსენებელმა, საბჭოს თავმჯდომარის თხოვნით, დააზუსტა, რომ დაწესებულებას ჰქონდა შესაბამისი სილაბუსები.

ლალი ლოდელიანის განმარტებით, დაწესებულებას სპორტის ისეთი სახეობები ჰქონდა არჩეული, რისთვისაც არ არსებობდა სტადიონის არსებობის საჭიროება. ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა სპორტის სახეობის დამატებას.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან სპს - ცოდნა - ნათელა მურადაშვილის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, დაედასტურებინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წერილობითი შუამდგომლობა, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა რაოდენობის 160-ით განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა შუამდგომლობა.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. მომხსენებელ და ექსპერტები დაეთანხმნენ დაწესებულების პოზიციას და აღნიშნეს, რომ დაწესებულებას შესაძლებლობა ექნება, მიიღოს 160 მოსწავლე. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მას ჰქონდა 5 კომპი. სხდომამდე ერთი დღით ადრე შეიძინა სამი კომპიუტერი. სხდომაზე წარმოდგენილ იქნა ნასყიდობის ხელშეკრულება და გადახდის ანგარიშფაქტურა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სპს - ცოდნა - ნათელა მურადაშვილის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, სპს - ცოდნა - ნათელა მურადაშვილს მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა რაოდენობა განესაზღვროს 160-ით.

9. შპს - ოაზისის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ შპს - ოაზისის წარმომადგენელს ჰკითხა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 სკოლას აქვს საკუთარი ვებგვერდი, რომლის მისამართია www.oazisi.edu.ge. თუმცა ზოგიერთ ბმულზე მითითებულია, რომ მიმდინარეობს ვებგვერდის განახლება. ვებგვერდზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია და სიახლეები, ასევე ინფორმაცია სკოლის შესახებ.

1.2 სკოლის შიდა პერიმეტრის გასაკონტროლებლად გამოიყენება ის კამერები, რომლებიც დამონტაჟდა საატესტატო გამოცდების დროს და არ შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ზემოთაღნიშნული კამერების შეძენა მოხდება სასწავლო წლის დაწყებამდე. სხდომაზე წარმოდგენილ იქნა ხელშეკრულება. დაწესებულებას აქვს 16 კომპიუტერი. (ორი ლეპტოპი). თუმცა, დასკვნაში მითითებული იყო 14 კომპიუტერი.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ორ ლეპტოპზე არ იქნა წარდგენილი შესაბამისი დოკუმენტი.

საბჭოს თავმჯდომარის თხოვნით, მომხსენებელმა დაადასტურა, რომ დაწესებულება შეძლებდა 350 მოსწავლის მიღებას.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან შპს - ოაზისის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დასაკმაყოფილებელია.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა, დაედასტურებინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წერილობითი შუამდგომლობა, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა რაოდენობის 350-ით განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა შუამდგომლობა.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ექსპერტები დაეთანხმნენ დაწესებულების პოზიციას და აღნიშნეს, რომ დაწესებულებას შესაძლებლობა ექნება, მიიღოს 350 მოსწავლე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ოაზისის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ოაზისს მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა რაოდენობა განესაზღვროს 350-ით.

10. შპს - შიდა ქართლის საერო კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ შპს - შიდა ქართლის საერო კოლეჯის წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. შპს - შიდა ქართლის საერო კოლეჯის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრები მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - შიდა ქართლის საერო კოლეჯის თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 დაწესებულება მდებარეობს ქ. გორში, ცხინვალის გზატკეცილი №9 - ში (საერთო ფართი 1362.2). სასწავლო პროცესისათვის გამოყენებულია შენობის I სართულის ნაწილი და III სართული. II სართულზე განთავსებულია შპს - შიდა ქართლის პროფესიული კოლეჯი, რომელიც დამოუკიდებლად არსებობს შენობაში ცალკე შესასვლელითა და კიბით. დაწესებულება ასევე საკუთრებაში ფლობს იმავე მისამართზე არსებულ ცალკე მდგომ შენობას N3 (168.2 კვ.მ), რომელიც ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის პერიოდისათვის არ იყო ექსპლუატაციაში და მიმდინარეობდა კაპიტალური რემონტი.

1.2 დაწესებულებას 2011 წლის 30 ივნისს დადებული აქვს ხელშეკრულება შპს „ინსტა-ჯორჯიასთან“ 13800 (ცამეტი ათას რვაასი) ლარის ღირებულების ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია-ანატომიის სასკოლო ლაბორატორიების აღჭურვილობაზე. თანხის 50% გადახდილია და დასტურდება საგადახდო დავალებით, თუმცა მიღება-ჩაბარება ჯერ არ განხორციელებულა. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ახალი სასწავლო წლისათვის ზემოთაღნიშნული უკვე მოწოდებული იქნება შესაბამისი მხარის მიერ. ამჟამად ქიმია/ფიზიკა/ბიოლოგიის კლასი აღჭურვილია გარკვეული ინვენტარით, რომლის ფლობა დასტურდება მხოლოდ ვიზუალური დათვალიერებითა და საინვენტარიზაციო წიგნით.

1.3 ბიბლიოთეკაში ვერ იქნა მოძიებული მხოლოდ XII კლასის გეოგრაფიის სახელმძღვანელო. საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენლებს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

აღნიშნულთან დაკავშირებით შპს - შიდა ქართლის საერო კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული სახელმძღვანელო დაწესებულებას აჩუქეს.

საბჭომ იმსჯელა მატერიალურ რესურსის სტანდარტთან შპს - შიდა ქართლის საერო კოლეჯის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა, დაედასტურებინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წერილობითი შუამდგომლობა, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის

გათვალისწინებით, მოსწავლეთა რაოდენობის 400-ით განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა შუამდგომლობა.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ექსპერტები დაეთანხმნენ დაწესებულების პოზიციას და აღნიშნეს, რომ დაწესებულებას შესაძლებლობა ექნება, მიიღოს 400 მოსწავლე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - შიდა ქართლის საერო კოლეჯის ავტორიზაციის საკითხი.

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - შიდა ქართლის საერო კოლეჯს მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა რაოდენობა განესაზღვროს 400-ით.

11. სპს - „თავაძე და კომპანია“ განათლების სამინისტრო სკოლა „ანაბასისის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სპს - „თავაძე და კომპანია“ განათლების სამინისტრო სკოლა „ანაბასისის“ წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ სპს - „თავაძე და კომპანია“ განათლების სამინისტრო სკოლა „ანაბასისის“ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე:

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 დაწესებულების საკუთრება აშია ქ. ზესტაფონში, ფარნავაზის ქ. №4-ში მდებარე ორსართულიანი შენობა სარდაფით. შენობა-ნაგებობის საერთო ფართი საჯარო რეესტრის მონაცემებით შეადგენს 1806 კვ.მ-ს. სარდაფის საერთო ფართია 613 კვ.მ., აქედან 2 სპორტული დარბაზი, რომლებშიც უკვე თითქმის დასრულებულია სარემონტო სამუშაოები, ჯამში მოიცავს 141,6 კვ. მ.-ს, ხოლო სარდაფის დანარჩენი ნაწილი (ჯამში 471,4 კვ.მ) გაურემონტებელია და არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასწავლო მიზნებისთვის. ამდენად, დაწესებულების სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ფართი შეადგენს 1334,6 კვ. მ.-ს.

წარმომადგენელმა განმარტა, რომ სარდაფებში განთავსებულია სპორტული დარბაზები. ამასთან, სარდაფში არ არის ნესტი, ვინაიდან არსებობს გამწოვი. ხდება კონდიციონერბა.

1.2 დაწესებულებას არ აქვს ლაბორატორია, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს დაიდო ხელშეკრულება შპს - „ინსტა ჯორჯიასთან“, რომელიც ვალდებულებას იღებს, მიაწოდოს დაწესებულებას ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგია-ანატომიის სასკოლო ლაბორატორიის აღჭურვილობა (სულ 208 ერთეული).

1.3 ყველა ოთახს აქვს ბუნებრივი განათების შესაძლებლობა, გარდა სპორტული დარბაზებისა, რომელთაგან ერთს აქვს ფანჯარა, მაგრამ ოთახები სათანადოდ არ ნათდება. სპორტულ დარბაზებში არ არის ასევე გათბობის საშუალებები.

საბჭომ იმსჯელა მატერიალურ რესურსის სტანდარტთან სპს - „თავაძე და კომპანია“ განათლების სამინისტრო სკოლა „ანაბასისის“ შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა, დაედასტურებინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წერილობითი შუამდგომლობა, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა რაოდენობის 360-ით განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა შუამდგომლობა.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ექსპერტები დაეთანხმნენ დაწესებულების პოზიციას და აღნიშნეს, რომ დაწესებულებას შესაძლებლობა ექნება, მიიღოს 360 მოსწავლე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სპს - „თავაძე და კომპანია“ განათლების სამინისტრო სკოლა „ანაბასისისთვის“ ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, სპს - „თავაძე და კომპანია“ განათლების სამინისტრო სკოლა „ანაბასის“ მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა რაოდენობა განესაზღვროს 360-ით.

12. შპს - „ლაზარეს“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ შპს - „ლაზარეს“ წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. შპს - „ლაზარეს“ წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრები მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - „ლაზარეს“ თვითშეფასების კითხვარებსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარები და ექსპერტთა დასკვნები - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 დაწესებულება იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ქ. რუსთავეში, მეგობრობის გამზირის პირველ გასასვლელ №3-ში და II გასასვლელ №3-ში არსებულ შენობა-ნაგებობებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის ცალკე ფართი არ არის გამოყოფილი. საკლასო ოთახებში განლაგებული ინვენტარი გამოიყენება როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ისე პროფესიული საგანმანათლებლო მიზნებისთვის.

1.2 დაწესებულებას ლაბორატორიისათვის განცალკევებული ოთახი არ გააჩნია, თუმცა წარმოდგენილი იქნა 2011 წლის 29 ივლისის დადებული #გეო 005/1 ხელშეკრულება და 1150 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

დავით კერესელიძის თხოვნით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ლაბორატორიისთვის გამოყოფილია 28 კვ.მ.

1.3 დაწესებულების მიერ ბიბლიოთეკისთვის გამოყოფილი ოთახი იმავდროულად გამოიყენება მე-11 კლასის სასწავლო ოთახადაც. იგივე ოთახში იგეგმება პროფესიული სტუდენტებისათვის ბიბლიოთეკის ფუნქციონირებაც.

აღნიშნულ შენიშვნასთან დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარემ განმარტება სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს. წარმომადგენლის განმარტებით, მას შეუძლია ბიბლიოთეკისთვის ცალკე ოთახის გამოყოფა.

1.4 დაწესებულებაში არის 1 ვიდეოკამერა, რომელიც ექსპერტთა ვიზიტის დროს განთავსებული იყო კომპიუტერულ კლასში. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ეს კამერა გამოიყენება მხოლოდ საატესტაციო გამოცდების დროს.

ზეპირ მოსმენაზე წარმოდგენილ იქნა უსაფრთხოების კამერის ნასყიდობის ხელშეკრულება.

დავით კერესელიძემ წარმომადგენელს მიმართა კითხვით, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას ხელშეკრულება გაფორმებული მანდატურის სამსახურთან. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საჭიროების შემთხვევაში ხელშეკრულებას გააფორმებდა აღნიშნულ სამსახურთან.

საბჭომ მიიჩნია, რომ მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით ავტორიზაციის მამიებელს სტანდარტის ძირითადი მოთხოვნები დაკმაყოფილებული აქვს, არაარსებითი ხარვეზებით, რაც მარტივად გამოსწორებადია.

2. ადამიანურ რესურსთან მიმართებით

მათემატიკის მასწავლებელს მაია თავაძეს დამთავრებული აქვს ტექნიკური უნივერსიტეტი ინჟინერ-ფიზიკოს-მეტალურგის კვალიფიკაციით. აღნიშნულ პიროვნებას აქვს მათემატიკის მასწავლებლად მუშაობის 6-წლიანი გამოცდილება.

საბჭომ მიიჩნია, რომ ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით ავტორიზაციის მამიებელს სტანდარტი დაკმაყოფილებული აქვს.

დაწესებულებამ იშუამდგომლა მოსწავლეთა რაოდენობის 450-ით განსაზღვრის შესახებ. დაწესებულებაში სულ არის 12 კომპიუტერი. ამასთან, დაწესებულებას დაგეგმილი აქვს კომპიუტერების შესყიდვა.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 12 კომპიუტერის პირობებში 280 -ზე მეტი მოსწავლე არ განესაზღვრება დაწესებულებას. თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის დირექტორის მოადგილეს და სთხოვა დაეზუსტებინა, თუ რამდენ მოსწავლის განსაზღვრაზე გასცემდა თანხმობას ცენტრი. დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ ეს რაოდენობა არის მაქსიმუმ 240, კომპიუტერის რაოდენობის გათვალისწინებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „ლაზარეს“ ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - „ლაზარეს“ მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა რაოდენობა განესაზღვროს 240-ით.

ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე ასევე განხილულ იქნა დაწესებულების პირობები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილების ნაწილში, ვინაიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-13 მუხლის საფუძველზე ავტორიზაციის მამიებელს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების შემთხვევაში ასევე სურს, განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ არ არის გამოიჭნული ფართი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად და ადმინისტრაციის განმარტებით საკლასო ოთახები ნაწილდება „საჭიროებისამებრ“. ამასთან, დაწესებულება შპს „ლაზარეს“ პროფესიული კოლეჯის სახელით დაინტერესებულ პირებს სთავაზობს პროფესიულ პროგრამებს. ექსპერტთა დასკვნიდან გამომდინარე, დაწესებულებას არსებითად არ აქვს დამატებითი რესურსი ამ პროგრამების განსახორციელებლად, რაც შეუძლებელს ხდის პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭებას.

დაწესებულების მფლობელობაშია 10 კომპიუტერი და ორი ნოუთბუკი, საიდანაც ინტერნეტში ჩართულია 8 კომპიუტერი, რაც შეუძლებელს ხდის მათ გამოყენებას ერთდროულად სასკოლო პროცესისთვის და ისეთი პროფესიების სწავლებისთვის, როგორიცაა ინფორმაციული ტექნოლოგი და ბუღალტერი.

დაწესებულების თავმჯდომარემ დააზუსტებინა წარმომადგენელს, რომ მას სურდა იგივე კომპიუტერების გამოყენება ინტ. ტექნოლოგიის და ბუღალტრის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ის აცნობიერებს დამატებითი კომპიუტერების საჭიროებას სასწავლო პროცესისთვის. დაწესებულების წარმომადგენელმა მიმართა კითხვით თავმჯდომარეს, ჰქონდა თუ არა 15 დღე ხარვეზის გამოსწორებისვის. თავმჯდომარემ განუმარტა, რომ 15 დღიანი ვადა გამოიყენებოდა მხოლოდ ავტორიზაციის გაუქმების პროცედურის განხორციელების დროს.

დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები სს ქ. რუსთავის ცენტრალურ საავადმყოფოსთან, ქ. რუსთავის სამშობიარო სახლთან, სტომატოლოგიურ კლინიკა „ალტერნატივასა“ და ქ. რუსთავის №2 სტომატოლოგიურ კლინიკასთან. შესაბამისად, კბილის ტექნიკოსის, ექთნის თანაშემწისა და მასაჟისტის პროფესიული კომპეტენციების განვითარების კუთხით დაწესებულება სრულად არის დამოკიდებული პრაქტიკის განმახორციელებელ დაწესებულებებზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ცალკე ოთახი, შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი არ არის. იგეგმება აღჭურვა. სასკოლო ლაბორატორიების შეძენის შემდეგაც შეუძლებელი იქნება კბილის ტექნიკოსისა და ექთნის თანაშემწის მომზადება შესაბამისი აღჭურვილობის გარეშე. სამასწავლებლოში განთავსებული პირველადი დახმარების მედიკამენტებით აღჭურვილი „სპეციალური ჩანთა“ თუ „მინი აფთიაქი“ ვერ ჩაითვლება საკმარისად. დაწესებულების „მასაჟის კაბინეტი“ არის პროფესიული პროგრამების განხორციელების მიზნით არსებული ერთადერთი სივრცე.

დავით კერესელიძემ მიმართა წარმომადგენელს და სთხოვა დაეხუსტებინა, მისი აზრით, ექთნის თანაშემწისთვის ზემოაღნიშნული აღჭურვილობა საკმარისი არის თუ არა უნარ-ჩვევების გამომუშავებისთვის.

წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულებას აქვს თეთრი მინი აფთიაქი და თეთრი კარადა.

დავით კერესელიძემ წარმომადგენელს ჰკითხა, ჰქონდათ თუ არა რაიმე საქმიანობა განხორციელებული ხაშურში. წარმომადგენელმა განმარტა, რომ მას სურდა ფილიალის გახსნა. თუმცა, ფართის საკითხი ვერ მოაგვარა. დავით კერესელიძემ წარმომადგენელს დააზუსტებინა, ახორციელებდა თუ არა დაწესებულება „ლაზარეს“ ხაშურში სარეკლამო საქმიანობას. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ „ლაზარეს“ სახელით გამოაცხადა მიღება. დავით კერესელიძემ წარმომადგენელს განუმარტა, რომ ავტორიზაციის მიღებამდე დაწესებულებას არ უნდა განხორციელებინა მსგავსი საქმიანობა.

წარმომადგენლის განმარტებით, ის არ აპირებდა ცენტრის თანხმობის გარეშე საქმიანობის განხორციელებას.

გაიანე სიმონიამ დასძინა, რომ სიმულატორის გარეშე დაუშვებელია, მაგალითად, მასაჟისტის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება.

საბჭომ იმსჯელა შპს - „ლაზარეს“ შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის სავალდებულო სტანდარტები არ არის დაკმაყოფილებული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „ლაზარესათვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/6 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 13-ე

მუხლის შესაბამისად, შპს - „ლაზარეს“ უარი ეთქვას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებაზე.

13. შპს - ქ. თბილისის საშუალო სკოლა „ლამპარის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ შპს - ქ. თბილისის საშუალო სკოლა „ლამპარის“ წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - ქ. თბილისის საშუალო სკოლა „ლამპარის“ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დაადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლიკა გიორგაძემ, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე:

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

დაწესებულებას 2011 წლის 6 ივლისს დადებული აქვს ხელშეკრულება შპს „ჯეო დეკორთან“ სამეცნიერო ლაბორატორიების შეძენაზე. ლაბორატორიები მოიცავს 208 დასახელების აღჭურვილობას. ხელშეკრულების საფუძველზე აღნიშნული ფირმა 5 სექტემბერს შემოიტანს ამ სამეცნიერო ლაბორატორიებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენლებს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

საბჭომ იმსჯელა მატერიალურ რესურსის სტანდარტთან შპს - ქ. თბილისის საშუალო სკოლა „ლამპარის“ შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა, დაედასტურებინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წერილობითი შუამდგომლობა, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა რაოდენობის 460-ით განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა შუამდგომლობა.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ექსპერტები დაეთანხმნენ დაწესებულების პოზიციას და აღნიშნეს, რომ დაწესებულებას შესაძლებლობა ექნება, მიიღოს 460- მოსწავლე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის საშუალო სკოლა „ლამპარის“ ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - თბილისის საშუალო სკოლა „ლამპარს“ მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა რაოდენობა განესაზღვროს 460-ით.

14. შპს - არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა „ოცნების“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თეა შაყულაშვილმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე:

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 სკოლის ორივე სართულზე განლაგებულია საკლასო ოთახები. მათი ნაწილი აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების მქონე ინვენტარით, ნაწილი კი საჭიროებს განახლებას. სკოლის ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი იქნა ინდემწარმე მერაბ კარტოხიასთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომლითაც დასტურდება რომ 2011 წლის 10 სექტემბრამდე სასკოლო ინვენტარის ნაწილობრივ განახლება.

1.2 სკოლას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული შპს „ინსტა ჯორჯიასთან“, რომლის საფუძველზეც აღნიშნული ფირმა იღებს ვალდებულებას არაუგვიანეს მიმდინარე წლის 31 აგვისტოსა, მიაწოდოს სკოლას ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგია-ანატომიის ლაბორატორიების აღჭურვილობა.

1.3 სველი წერტილები, რომლებიც განლაგებულია შენობის მეორე სართულზე, მოპირკეთებულია კაფელით და მეტლახით, თუმცა საჭიროებს განახლებას, სარემონტო სამუშაოებია ასევე ჩასატარებელი სკოლის I სართულის დერეფნის მონაკვეთზე, რომლის წარმოებაც დაიწყო ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში.

1.4 სკოლის შიდა პერიმეტრი კონტროლდება ვიდეოთვალთ. სკოლის გარე პერიმეტრზე ასევე იგეგმება ვიდეოთვალის დამონტაჟება, რის თაობაზეც სკოლას ხელშეკრულება აქვს დადებული შპს „კომლენდთან.“

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელი დაწესებულების წარმომადგენლებს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

შპს - არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა „ოცნების“ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ფართი გაარემონტეს და წარმოდგინეს ფოტო მასალა, რომელიც დაერთო ოქმს. ფოტოდათვალიერების საფუძველზე მიიჩნია, რომ ფართი არის შესაბამისი, ექსპერტმა დაადასტურა, რომ ნამდვილად ეს ფართი იყო.

საბჭომ იმსჯელა მატერიალურ რესურსის სტანდარტთან შპს - არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა „ოცნების“ შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია. თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, დაედასტურებინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წერილობითი შუამდგომლობა, ავტორიზაციის მიღების

შემთხვევაში, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა რაოდენობის 280-ით განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა შუამდგომლობა.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ექსპერტები დაეთანხმნენ დაწესებულების პოზიციას და აღნიშნეს, რომ დაწესებულებას შესაძლებლობა ექნება, მიიღოს 280- მოსწავლე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა „ოცნების“ ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა „ოცნებას“ მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა რაოდენობა განესაზღვროს 280-ით.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა 02:16 საათზე.

კახი ყურაშვილი
თავმჯდომარე

გაიანე სიმონია
მდივანი